დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნანა ედიშერაშვილი
წევრები:
ავთანდილ კეჭაყმაძე
ლელა გორდულაძე
ირმა ბოლქვაძე
ვალერიან ვოლჩანსკი
ლამზირა აფაქიძე
ჟანა ბელქანია
სოფიო ხვადაგიანი
ნონა გორგილაძე
საბა დარსაველიძე
ნათია კოხოძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232386272

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დაბა თიანეთი
იურიდიული მისამართი	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ.N59
ფაქტობრივი მისამართი	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ.N59
საფოსტო ინდექსი	2500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	-
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tianeti1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0348 29 14 84
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	577 511 802

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0 23 0000781059 -28/06/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	27.07.2023-28.07.2023

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ.N59
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ.N59
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ.N59
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ.N59

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 28 ივნისის ბრძანების MES 0 23 0000781059 საფუძველზე 27-28 ივლისს განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში. სკოლაში ვიზიტისას შეფასების პროცესი ეფექტიანად, პოზიტიურ, აქტიურ და თანამშრომლობით გარემოში წარიმართა.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული სკოლის მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტაცია: სამართლებლივი აქტები, კურიკულუმები და სხვა. განხორციელდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან, თანამშრომლებთან და სკოლის მასწავლებლებთან კათედრების მიხედვით.

საგნობრივმა ექსპერტებმა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის გარდა, ონლაინ რეჟიმში, Teams-ის პლატფორმის საშუალებით განახორციელეს გასაუბრება შესაბამის კათედრების მასწავლებლებთან მეორე სტანდარტთან, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა სასკოლო ინფრასტრუქტურა და გარემო, განხილული იქნა უსაფრთხოების ნორმები სკოლაში. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: _____ 550	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

---

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	შემუშავდეს სკოლის ხედვა და ღირებულებები 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სკოლამ ორგანიზება გაუკეთოს ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი მტკიცებულებების მობილიზებას 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	შემუშავდეს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	შემუშავდეს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ	შემუშავდეს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისი ერთწლიანი 2023-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	შემუშავდეს ერთწლიანი 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანებისა და აქტივობების, აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების, განხორციელების კონკრეტული ვადების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, შესაბამისი რესურსების გათვალისწინებით 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	შემუშავდეს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	შემუშავდეს სკოლის სტრუქტურა თითოეული მმართველი რგოლისა და პოზიციის გათვალისწინებით, მკაფიოდ მათი ფუნქციები 2023 წლის 20 დეკემბრამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	შევიდეს ცვლილება სკოლის შინაგანაწესში კანონმდებლობის შესაბამისად პერსონალის პირად საქმეში წარსადგენი დოკუმეტების ჩამონათვალთან დაკავშირებით, ხოლო 2020 წლის შემდეგ სკოლაში მიღებული თანამშრომლების პირად საქმეებში წარმოდგენილ იქნას სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება კონკრეტულ პოზიციაზე (მაგალითად, ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტერის და ა.შ.) განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
3.2.1.1	სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	2023 წლის 20 დეკემბრამდე შეიმუშავდეს დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება სკოლის პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის კონკრეტული მექანიზმები.
3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;	2023 წლის 20 დეკემბრამდე შეიმუშავდეს დოკუმენტი, რაც დაეხმარება სკოლას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების, მართვის პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	2023 წლის 20 დეკემბრამდე განხორციელდეს შემდეგი: ✓ სკოლამ წარმოადგინოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა. ✓ შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებით სკოლაში შექმნას საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; ✓ განხორციელდეს ექთნის მიერ ჟურნალების წარმოება N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.
3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	2023 წლის 20 დეკემბრამდე დამონტაჟდეს პანდუსები სპორტულ დარბაზში შშმ პირთა გადაადგილებისათვის.
3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	შემუშავებული საქმისწარმოების წესი 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის	2023 წლის 20 დეკემბრამდე განხორციელდეს სკოლის ახალ პორტალზე https://bit.ly/3tUDwrN ყველა სავალდებულო ინფორმაციის გამოქვეყნება და პორტალის სრულფასოვან გვერდად ფორმირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი		
სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	**სასურველია სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მიზნით, სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს (მასწავლებლებს, მშობლებს, მოსწავლეებს, თემს) შესთავაზოს მრალფეროვანი აქტივობები.**
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	**სასურველია, თუ სკოლა შეიმუშავებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის უფრო მკაფიო მექანიზმებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	სასურველია, თუ სკოლა შეიმუშავებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესებისა და პროცედურების ამსახველ დოკუმენტს. ამით სასკოლო საზოგადოება იქნება მაქსიმალურად ინფორმირებული სკოლაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ.
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლის სარგებლობაში არსებული ფართის დაზუსტების მიზნით, მნიშვნელოვანია განახლდეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
4.2.1.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	სასურველია სკოლამ განსაზღვროს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები.
4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	სასურველია სკოლამ შექმნას დოკუმენტი, სადაც იქნება მოცემული საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო, კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	სასურველია დაკონკრეტდეს მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის ფორმები (მაგალითად, მშობელთა შეხედულებების და პრიორიტეტების შესწავლის გზები)
2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.
2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სასურველია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები;

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის,	სასურველია დაკონკრეტდეს მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის ფორმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	(მაგალითად, მშობელთა შეხედულებების და პრიორიტეტების შესწავლის გზები)
2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.
2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სასურველია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები;

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	სასურველია დაკონკრეტდეს მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის ფორმები (მაგალითად, მშობელთა შეხედულებების და პრიორიტეტების შესწავლის გზები)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.
2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სასურველია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები;

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც ექსპერტების მიერ აღწერილ გარემოებებს ეთანხმებოდნენ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული იყო გარკვეული ხარვეზები, რასთან დაკავშირებითაც სკოლამ წარმოადგინა:

1. *სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N177/10 (MIA32303051888-18/10/2023 საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები CPV75240000), რითაც დასტურდება, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსგან (დეპარტამენტი) შეისყიდა მომსახურება 500 მ²-ზე მეტი ფართობის მქონე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენასა და შესაბამისი წინადადებების მომზადებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ მომსახურება განხორციელდება მომსახურების მიმღების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ 20 (ოცი) სამუშაო დღეში. სკოლას საბოლოო დასკვნა ჯერ არ წარმოუდგენია, თუმცა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულია დასკვნის მიღება 2023 წლის 20 დეკემბრამდე.

2. *ექიმის ნაცვლად ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირის დასქმებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 29 მარტის წერილი #MES9230000357491, საიდანაც ირკვევა, რომ (ორჯერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე სკოლაში შემოვიდა მხოლოდ ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირთა განაცხადები) სამინისტრო არაა წინააღმდეგი მიმდინარე ეტაპზე დროებით სკოლაში დასაქმდეს ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი.*
3. *საქართველოს ექსპერტიზის ბიუროს წერილი #5005992723-17/09/2023 და #006590923 საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შენობის შესახებ. დასკვნით დასტურდება, რომ სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, რაიმე დაზიანებები არ შეინიშნება და მისი ექსპლუატაცია უსაფრთხოა.*
4. *მტკიცებულებები იმისა, რომ სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი შემუშავდა და დამტკიცდა 2023 წლის 19 აგვისტოს. წარმოდგენილია დირექტორის ბრძანება და დანართი (სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი).*
5. *სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N1/-კ25-19.08.2023წ. , რითაც განისაზღვრა, რომ სკოლაში შეფასების ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსტიტენტური). დაწყებით საფეხურზე სკოლა განსაკუთრებულ ფოკუსს აკეთებს განმავითარებელი შეფასების მეთოდებზე და ინსტრუმენტებზე. შესაბამისად, წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების, პროცესების გაუმჯობესების მექანიზმები. საბაზო და საშუალო საფეხურზე კი როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების მეთოდებზე და ინსტრუმენტებზე.*

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი მტკიცებულებები, ასევე შესაბამისობის გეგმა და ცვლილებები ასახა დასკვნაში თითოეული ინდიკატორის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) მისიაა _ "ეროვნულ ღირებულებებზე აღზრდილი მომავალი თაობების ევროპული განათლებით, ევროპისაკენ!". სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მოცემული მისია შემუშავდა ილია ჭავჭავაძის სიტყვებიდან გამომდინარე - „ჩვენს ქვეყანას ევროპული გამოცდილება, მეცნიერება და განათლება სჭირდება. ეს უნდა იყოს მისი თოფ-იარაღი".
სკოლის მისია კონცენტრირებულია ეროვნულ ღირებულებებზე, რაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისია და გამოხატავს ევროპული განათლებისა და ღირებულებებისაკენ სწრაფვას.
სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ხედვა და მკაფიოდ ჩამოყალიბებული, კონკრეტული ღირებულებები, რაზეც იქნება ორიენტირებული. სასკოლო სასწავლო გეგმაში და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია სკოლის მიზნები. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის მიზანია, აღზარდოს:

- სიცოცხლის მოყვარული,
- ფიზიკურად ჯანმრთელი,
- აკადემიურად წარმატებული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სულიერად განვითარებული და მორალური,
- საზოგადოებრივად მოაზროვნე და თვითკრიტიკული პიროვნება,

რათა სკოლის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი ნებისმიერ თანატოლთან მიმართებაში, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. სკოლის კურსდამთავრებული იყოს ისეთი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პიროვნება, რომელთან თანამშრომლობა და თანაცხოვრებაც სასიამოვნო იქნება ნებისმიერი პროგრესული ადამიანისათვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მიზნებიდან ნაწილი ბუნდოვანი და არაგაზომვადია. მაგალითად, „სიცოცხლის მოყვარული“, „ფიზიკურად ჯანმრთელი“, „სულიერად განვითარებული“, ასევე „სკოლის კურსდამთავრებული იყოს ისეთი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პიროვნება, რომელთან თანამშრომლობა და თანაცხოვრებაც სასიამოვნო იქნება ნებისმიერი პროგრესული ადამიანისათვის“.

სკოლის მისია გათვლილია მომდევნო შვიდწლიან ეტაპზე, თუმცა სკოლას დაწყებული აქვს მუშაობა მისია-ხედვა-სტრატეგიისა და დასახული მიზნების, ამოცანების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგი-შეფასებისა და გადასინჯვის სისტემის შექმნაზე, რომელიც დასრულდება 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ 2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე გავააქტიურდება მუშაობა ამ მიმართულებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლას აქვს მხოლოდ მისია. სკოლის ხედვა და ღირებულებები არ არის ჩამოყალიბებული. სკოლის მისია ორენტირებულია ეროვნულ ღირებულებებზე, თუმცა, კონკრეტულად რა ღირებულებებზე არ არის წარმოჩენილი.

<u>მოგვიანებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია, რომ სკოლა ხედვასა და ღირებულებებს შეიმუშავებს 2023 წლის 20 დეკემბრამდე. შემუშავების პროცესში ჩართული იქმება სასკოლო საზოგადობა.</u>

ინდიკატორი <u>მეტწილ</u> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. ***სკოლას მისია და ხედვა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია,*** თუმცა, სკოლაში მიმდინარე პროცესები, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სკოლის გუნდთან გასაუბრება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლა მოწოდებულია სიახლეების შემოტანით, სწავლების ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი. კარგად ორგანიზებული მხატვრულ-შემეცნებითი ღონისძიებები, კონფერენციები, ტესტირებები, მოსწავლეებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ინდივიდუალური მეცადინეობები, სასკოლო პროექტების განხორციელებაში სასკოლო საზოგადოებისა და მთლიანი თემის ჩართულობა, სასკოლო კლუბების შექმნა, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში აქტიური მონაწილეობა, სასკოლო-სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები, სპორტული აქტივობები ხელს შეუწყობს სკოლის მისიისა და მიზნების განხორციელებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სკოლის მისია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ნაწილობრივი ჩართულობით. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიდან, ასევე, ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწყებულია გუნდური მუშაობა მისია-ხედვა-დასახული მიზნების შექმნაზე. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე განხორციელდება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება და ამ პროცესში ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მშობლები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. ***მისიის შემუშავების პროცესის აღმწერი რაიმე დოკუმენტი, ან მტკიცებულება სკოლას არ აქვს წარმოდგენილი.***

მოგვიანებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია, რომ სკოლა ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი მტკიცებულებების მობილიზებას მოახდენს 2023 წლის 20 დეკემბრამდე.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. ექსპერტთა სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუირებისას ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში უზრუნველყოფს საჯარო განხილვების ორგანიზებასა და უკუკავშირის მიღებას, რათა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარდეს სასკოლო საზოგადოების მიერ.

რჩევა: სასურველია სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მიზნით, სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს (მასწავლებლებს, მშობლებს, მოსწავლეებს, თემს) შესთავაზოს მრალფეროვანი აქტივობები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სკოლის არსებული მისია ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე გამოკრულია სკოლის პირველი სართულის დერეფანში და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 ივლისის N117/ნ ბრძანების საფუძველზე სკოლას მიენიჭა ამავე სკოლის კურსდამთავრებულის, პოეტის, მირზა გელოვანის სახელი. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს „საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების საფუძველზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის მისია;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2017-2023 წლების სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა. გეგმა შედგენილია SWOT ანალიზის საფუძველზე. წარმოდგენილია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები. არ არის გათვალისწინებული რისკები. ინტერვიუირებისას სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდება სასკოლო კვლევაზე დაყრდნობით, ასევე გათვალისწინებული იქნება სასწავლო წლის მიწურულს მასწავლებელთა, დამრიგებელთა, კათედრების ხელმძღვანელთა, დირექტორის მოადგილის წლიური ანგარიშები, ასევე დირექტორის ანგარიშის (სამეურვეო საბჭოსთან) მიგნებები. SWOT ანალიზით მოხდება ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, ამის გათვალისწინებით კი სტრატეგიული პროირიტეტების იდენტიფიცირება.
   სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლის ადმინისტრაცია სასკოლო თემთან ერთად მოიკვლევს, თუ რა სახის სასკოლო პროექტი იქნება საინტერესო და რა მიმართულებით სურთ მუშაობა სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს. ამ მიზნით მოსწავლეთა თვითმმართველობა, საფეხურების მიხედვით, სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრებითა და გამოკითხვით გამოკვეთილი წინადადებების გადამუშვების შემდეგ, შეადგენს ყველაზე აქტუალურ მიმართულებას და დაიწყება პროექტის კონცეფციაზე მუშაობა.
   სკოლას დაწყებული აქვს გუნდური მუშაობა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და დასახული მიზნების, ამოცანების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვის სისტემის შექმნაზე, რომელიც დასრულდება ახალი 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში და რომელშიც ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუირებით იკვეთება, რომ ***სკოლას არ აქვს გაწერილი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.***

მოგვიანებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას შეიმუშავებს 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. ***სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა არ არის შემუშავებული.*** ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია.

ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია, რომ სკოლა შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარების გეგმას შეიმუშავებს 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რაც ეფუძნება სკოლის 2017-2023 ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმას. ***შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისი 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ არის შემუშავებული.***
ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია, რომ სკოლა შვიდწლიანი სტრატეგიულ განვითარების გეგმის შესაბამის ერთწლიან 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწ.წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:
   - სკოლის ადმინისტრაციული და სასწავლო დოკუმენტაციის განხილვა, ცვლილებების შეტანა და დამტკიცება;
   - სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
   - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
   - საგნობრივი კათედრების ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობა;
   - სწავლა-სწავლების ხარისხზე ზრუნვა: მშობელთა ჩართულობის გააქტიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილია თითოეული ამოცანის შესაბამისი აქტივობები, მაგრამ ***არ არის გათვალისწინებული პასუხისმგებელი პირები, განხორციელების ვადები თვეების მიხედვით, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რესურსები.***
სკოლამ წარმოადგინა სასკოლო პროექტი პროექტის „მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლები თიანეთში“ გეგმა, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი პროექტის მიზანი, ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ინდიკატორები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები. მოცემულ პროექტზე მუშაობის გამოცდილება კარგი საფუძველია იმისათვის, რომ მსგავსი მიდგომით გაიწეროს ერთწლიანი სამომედო გეგმებიც.

მოგვიანებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია, რომ სკოლა ერთწლიან 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს ამოცანების შესაბამისი აქტივობების. აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების, განხორციელების კონკრეტული ვადების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და რესურსების გათვალიწინებით. დოკუმენტი შემუშავდება 2023 წლის 20 დეკემბრამდე.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2017-2023 სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***სკოლას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები***. ადმინისტრაციასთან და კათედრის ხელმძღვანელებთან ინტერვიუირებით იკვეთება, რომ დაგეგმილია მუშაობა მონიტორინგის, შეფასებისა და გადასინჯვის სისტემის შექმნაზე.

   ვიზიტის შემდგომ სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას შეიმუშავებს 2023 წლის 20 დეკემბრამდე. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილი იქნება გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებიც.
   ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლა გამოიკვლევს საკუთარ მიღწევებს, პრობლემებს, რისკებს და ამის საფუძველზე ცვლილებები შევა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. მონიტორინგის პროცესში ჩართული იქნება მონიტორინგის ჯგუფი და სასკოლო საზოგადოება.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლის დირექტორი წარადგენს სამეურვეო საბჭოსთან დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიშში.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს წარადგენს მომავალი სასწავლო წლის ბოლოს და გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. მათგან სამეურვეო საბჭოს, დირექტორის, დირექტორის მოადგილის, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტის უფლება-მოვალეობები გაწერილია „საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ“. ***სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული მრჩეველთა საბჭო, ექთანი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, სპეც. მასწავლებელი, მტუკ-ი, ტექნიკური პერსონალი.*** თითეული თანამშრომლის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სტრუქტურულ ერთეულებს მისთვის განსაზღვრული ფუნქცია აკისრიათ ასევე სკოლის შინაგანაწესითა და დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით.
სხვა დოკუმენტი, სადაც თავმოყრილი იქნება თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირის მკაფიოდ გაწერილი ფუნქციები სკოლას არ აქვს.

ვიზიტის შემდგომ სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ სკოლა შეიმუშავებს და დაამტკიცებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების, მათი მკაფიოდ გაწერილი ფუნქციების განმსაზღვრელ დოკუმენტს 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
ინდიკატორი <u>მეტწილ</u> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში დასაქმებულ თოთოეულ თანამშრომელს, ასევე სტრუქტურულ რგოლებს დაკისრებული აქვს მისი ფუნქციის შესაბამისი აქტივობის განხორციელება/ ზედამხედველობა. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, პედსაბჭოს, კათედრებისა და სხვა სტრუქტურული რგოლების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამის სამუშაოს. ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობა განაწილებულია ურთიერთთანამშრომლობის გზით, რაც უზრუნველყოფს გამართულ მუშაობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2017-2023 წლის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა, სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა (ნახაზი);
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 სკოლის 2023 – 2024 სასკოლო სასწავლო გეგმის - პროექტი,
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები,
- სამეურვეო საბჭოს ოქმები,
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები,
- პედსაბჭოს ოქმები,
- კათედრის ოქმები,
- სასკოლო პროექტების პორტფოლიოები -გაწერილი ამოცანებით, აქტივობებითა და პასუხისმგებელი პირებით,
- სკოლის დირექტორის ბრძანებები,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად, წესდების, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლა ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. ინტერვიუირებიდან ირკვევა, რომ სკოლის დირექტორს გაცნობიერებული აქვს სკოლის ორგანიზაციული მოწყობის მნიშვნელობა დასახული მიზნების მიღწევისთვის და იცის, როგორ შექმნას გაზიარებულ პასუხისმგებლობასა და დელეგირებაზე დაფუძნებული სისტემა. პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის ფორმირებისათვის სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია: სკოლაში მასწავლებლის/ თანამშრომლის მიღებასა და სამსახურებრივ შეთავსებასთან დაკავშირებული რეგულაციები, შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების წესები, კონკურსის ეტაპები, დასაქმებულის პირადი საქმეში წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, შრომითი ურთიერთობის პირობები, სამუშაო დროის აღრიცხვა, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, დასაქმებულთა ჩაცმულობის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შრომითი ურთიერთობის შეჩერების *გაფორმება,* დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, დისციპლინური სახდელის დაკისრება/დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმა, გასაჩივრება, დისციპლინური წარმოების სპეციალური წესი, დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა და მოქმედების ვადა, მრჩეველთა საბჭოს სხდომის მიმდინარეობის წესი. სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ბიულეტენის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დეკრეტული შვებულების შემთხვევაში ჩასანაცვლებელი კადრების არჩევა, რითაც სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სკოლაში პედაგოგების შერჩევა ხდება "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, სკოლაში მასწავლებლის/ თანამშრომლის მიღებასა და სამსახურებრივ შეთავსებასთან დაკავშირებული რეგულაციები, შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების წესები, კონკურსის ეტაპები, დასაქმებულის პირადი საქმეში წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, შრომითი ურთიერთობის პირობები.

   სკოლას კონკურსის შედეგად შეემატა რამოდენიმე ახალი მასწავლებელი შესაბამისი რეგულეციების სრული დაცვით, გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების საფუძველზე, თუმცა ღია კონკურსების გამოცხადების რამოდენიმე მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა კანდიდატების შერჩევა ფიზიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის პოზიციაზე (არ შევიდა განაცხადები). ასევე, ღია კონკურსით ვერ მოხერხდა ექიმის შერჩევაც და საბოლოოდ, სკოლაში დასაქმდა ექთანი. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა კვლავ გეგმავს ღია კონკურსის გამოცხადებას ფიზიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის პოზიციაზე.

   თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა) ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით, თანამშრომლის სამუშაოზე მიღება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზეც. სკოლას აქვს მასწავლებლობის მაძიებლის აყვანის, შეფასებისა და მპგეც-თან წარდგენის გამოცდილება, ნაწარმოებია ყველა საჭირო დოკუმენტი.

   სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ პერსონალის პირად საქმეში წარსადგენი დოკუმეტების ჩამონათვალში (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) არ არის გათვალისწინებული ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა. შესაბამისად, პერსონალის დიდ ნაწილთან პირად საქმეებშიც, არ იძებნება აღნიშნული დოკუმენტები:

   - ✓ **სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;**
   - ✓ **უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ვიზიტის შემდგომ სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ სკოლა შინაგანაწესში შეიტანს ცვლილებებს კანონმდებლობის შესაბამისად პერსონალის პირად საქმეში წარსადგენი დოკუმეტების ჩამონათვალთან დაკავშირებით; ხოლო 2020 წლის შემდეგ სკოლაში მიღებული თანამშრომლების პირად საქმეებში წარმოდგენილი იქნება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები 2023 წლის 20 დეკემბრამდე.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სკოლას ჰყავს 21 მასწავლებელი, მათგან 19 უფროსი, 2 წამყვანია. 1 მასწავლებელი უსტატუსოა და მოწვეულია სამხედრო სწავლებისთვის.
   სკოლას საშტატო ნუსხით ჰყავს დირქტორი, 1 დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, 1 სპეც. მასწავლებელი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, 1 ექთანი, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში.
   მასწავლებელთა პირად საქმეებში ჩანს, რომ მათ გავლილი აქვთ სახვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების ტრენინგები და კურსები.
   თანამშრომელთა პორტფოლიოების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა, სპეც. მასწავლებელის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დაკავებულ თანამდებობას. **აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლაში ვერ მოხერხდა კონკურსის გზით კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ფიზიკის მასწავლებლების შერჩევა, ამიტომ კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილებს დროებით ატარებენ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, ხოლო ფიზიკის გაკვეთილებს დროებით ატარებს მათემატიკის მასწავლებელი.** მასწავლებელთა კვალიფიკაციები განსაზღვრულია სკოლის მიერ თანამშრომელთა მიღებისას გამოცხადებული კონკურსების პირობებში. **თუმცა არ არის განსაზღვრული სხვა თანამშრომლების კვალიფიკაციები. მაგალითად, ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტერის და ა.შ. სკოლას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.**

ვიზიტის შემდგომ სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ სკოლა 2023 წლის 20 დეკემბრამდე შეიმუშავებს დოკუმენტს, სადაც წარმოდგენილი იქნება კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

5. სკოლა იყენებს გუნდური მუშობის პრინციპებს. დაწყებულია გუნდური მუშაობა მისიის, ხედვის, ღირებულებების, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის, დასახული მიზნების, ამოცანების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადასინჯვის სისტემის შექმნაზე. სკოლის მმართველობითი რგოლია სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არიან 3 მასწავლებლი, 3 მშობელი და 1 საშ. საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტიც შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და საშ. საფეხურის მოსწავლეებისაგან. სკოლაში ფინქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი, მასწავლებლები, მანდატური, მოსწ. თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა. მასწავლებლები თანამშომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე კათედრებს შორისაც. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლის ერთერთი ძლიერი მხარეა არაფორმალური განათლება და მის ფარგლებში დაგეგმილი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სასკოლო პროექტები, რის ფარგლებშიც აქტიურად თანამშრომლობენ კათედრებიც და მასწავლებლებიც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

6. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესები. მოტივაციის ამაღლების მიზნით, დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:
   - მადლობის გამოცხადება;
   - სიგელით დაჯილდოება;
   - ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
   - ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის წახალისების თხოვნით, გარდა დღესასწაულებთან დაკავშირებით წახალისების ფორმის გამოყენებისა.
მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ინტერვიუირებით დასტურდება, რომ სკოლაში აღიარებული და გაზიარებულია მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილებები. სასკოლო პროექტებში აქტიური მონაწილეობა, რეგიონულ და რესპუბლიკურ კონფერენცია/კონკურსებში მონაწილეობა წახალისებულია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ბრძანებით გამოცხადებული მადლობით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა - პროექტი,
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- შრომითი ხელშეკრულებები,
- კრიტიკული მეგობარი -გაკვეთილზე დასწრების ფურცელი, გაკვეთილის ერთობლივად დაგეგმვის ფორმა,
- კონკურსის გზით მიღებული მასწავლებლის პორტფოლიო,
- მაძიებელი მასწავლებლის პორტფოლიო,
- ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ,
- მასწავლებელთა პირადი საქმეები,
- სკოლის დირექტორის ბრძანებები,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლას არ აქვს გაწერილი მექანიზმი, რითაც მოხდება პერსონლის შეფასება და საჭიროებების დადგენა.*** მასწავლებელთა ინტერვიუირებით ირკვევა, რომ ეს პროცესები მიმდინარეობს პრაქტიკულად. ეს მექანიზმები იკვეთება პედასბჭოს, კათედრის ოქმებში, ასევე კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორისა და მისი მოადგილის ანგარიშებში. მაგალითად, კათედრებზე გათვალისწინებულია მასწავლებელთა მიერ გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვა, ურთიერთდასწრება, დაცვა და შესრულება, ურთიერთდასწრების შედეგების განხილვა და შეფასება, რითაც გამოვლინდება მასწავლებელთა საჭიროებები. ასევე გათვალისწინებულია საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი დირექტორისა და მისი მოადგილის მხრიდან.

ვიზიტის შემდგომ სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ სკოლა 2023 წლის 20 დეკემბრამდე შეიმუშავებს დოკუმენტს, სადაც წარმოდგენილი იქნება სკოლის პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის კონკრეტული მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ინდიკატორი <u>მეტწილ</u> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლა მასწავლებელს სთავაზობს პროფესიული განვითარების როგორც შიდა, ასე გარე მექანიზმებს. მაგალითად, სკოლა ჩართულია USAID დაწყებითი განათლების პროექტში, რის ფარგლებშიც სკოლის დაწყებითი საფეხურის მათემატიკისა და ქართული ენის მასწავლებლებისგან შექმნილია სასწავლო ჯგუფები, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი დაგეგმვა, გაკვეთილების ჩატარება, უკუკავშირი და რეფლექსია. სკოლა 2020 წლიდან ჩაერთო ახალი სკოლის მოდელში, მესამე თაობის ესგ-ს დანერგვის პროცესში. მასწავლებლები რაიმე კონკრეტული ტიპის პროფესიული განვითარების გეგმას არ ადგენენ, თუმცა მუდმივად ორიენტირებულნი არიან პროფესიულ განვითარებაზე.
   რაც შეეხება პროფესიული განვითარების გარე მექანიზმებს, პედაგოგების გადამზადება ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ, მასწავლებელთა საკუთარი ნებითა და შეხედულებით არჩეულ ტრენინგებზე დასწრებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. ხელშემწყობ აქტივობად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის მზაობა, დროულად მიაწოდოს მასწავლებლებს ინფორმაცია სხვადასხვა ტიპის ტრენინგებზე, ფორუმებსა და კონფერენციებზე, საგანმანათლებლო პროექტებსა და კონკურსებზე. სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს 2 მასწავლებელი წარადგინა წამყვანის სტატუსზე. მასწავლებლების გარდა სკოლა ხელს უწყობს გაიარონ ტრენინგები სხვადასხვა პერონალმა: საქმისმწარმოებელმა, სკოლის ბუღალტერმა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. მასწავლებლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლაში ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში, მას სამუშაო გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარება დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრა. თანამშრომლები მიიღებიან გამოსაცდელი ვადით. სკოლაში ღია კონკურსის გავლის შედეგად შემოვიდა რამოდენიმე მასწავლებელი. ისინი გამოხატავდნენ კმაყოფილებას სკოლის ადმინისტრაციისა და კოლეგების მხრიდან გამოჩენილი მახარდაჭერის გამო. სკოლაში მუშაობს მუსიკის მასწავლებელი, რომელმაც გაიარა მაძიებლობის ეტაპები და მიმდინარე პერიოდში უკვე უფროსი მასწავლებელია. სკოლა ახალ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თანამშომლებს შესთავაზებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში ჩართულობას, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას, რაც კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ახალ თანამშრომელს ინტეგრაციაში.

რჩევა: სასურველია, თუ სკოლა შეიმუშავებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის უფრო მკაფიო მექანიზმებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის მცდელობა აიმაღლონ პროფესიული უნარები, თვითშეფასებისა და რეფლექსიების საფუძველზე, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის დანერგვით, საჭირო რესურსების შემენით (სკოლის ბიუჯეტის გათვალისწინებით). წახალისების ფორმებია ბრძანებით გამოცხადებული მადლობა, ერთჯერადი ფულადი პრემია, სასკოლო ექსკურსიის დაფინანსება სკოლის ბიუჯეტიდან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 საწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის - პროექტი,**
- **სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,**
- **ბრძანებები თანამშრომელთა წარდგენის შესახებ,**
- **მასწავლებელთა პირადი საქმეები,**
- **ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები/სერთიფიკატები;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან;**

- **სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად.

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს განაწილებული აქვს თავისი ფუნქცია-მოვალეობები. სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექტორი, ან დირექტორის მოადგილე. სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან არის დაკავშირებული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: კურიკულუმი შემუშავება - დანერგვა - დანერგვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესის მონიტორინგი და შეფასება - გადასინჯვა და რევიზია. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის:

- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.
სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა: დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, მასწავლებლები-კათედრას, კათედრები-დირექციას, დირექტორის მოადგილე-პედაგოგიურ საბჭოს. ეს პროცესი სკოლას საშუალებას აძლევს მომავალი დაგეგმვისას გამოიყენოს მიღებული უკუკავშირი.
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დანერგვა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მხოლოდ ფრაგმენტული პროცესია. ამის გარდა სკოლაში უნდა ხორციელდებოდეს სხვა რიგი პროცესებისა, რაც გავლენას ახდენს სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე. ***სკოლას არ აქვს შემუშავებული ისეთი დოკუმენტი, რაც მკაფიოდ და სისტემურად განსაზღვრავს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს.***

ვიზიტის შემდგომ სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ სკოლა 2023 წლის 20 დეკემბრამდე შეიმუშავებს დოკუმენტს, რითაც ფორმულირდება სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და მექანიზმები, გათვალისწინებული იქნება მისი ციკურობაც.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლის წესდებაში - სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სააპელაციო კომიტეტის, ადმინისტრაციის ფუნქციები და როლი მმართველობით პროცესებში. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება ძირითადი პროცესები - ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. აქედან ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ.
სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება:
    - სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები;
- შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და პირობები;
- შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
- შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება;
- დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა;
- მოსწავლეების წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი;
- მატერიალური პასუხისმგებლობა;
- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები;
- მოსწავლის ჩაცმულობის წესი;
- შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები;
- განცხადების/საჩივრის განხილვა;
- ექსკურსიის ორგანიზება.

შინაგანაწესის მიზანია:

- სკოლის საქმიანობისათვის ხელშეწყობა, სკოლის მისიის შესრულება და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;
- სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი და მისი თანამდევი ურთიერთობის მოწესრიგება და კონტროლი;
- სკოლაში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;
- სასწავლო-სამუშაო დროის რეგულირება და რაციონალური გამოყენება;
- სკოლაში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის მოსწავლეთა ქცევის წესების მოწესრიგება და კონტროლი.

თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, სადაც იკვეთება სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესებიც. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია დამრიგებლის, კათედრების, სპეც. მასწავლებლის, ისგ ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები და მათ მუშაობასთან დაკავშირებული პროცესები.

ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბიბლიოთეკარმა, ბუღალტერმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა (2017-2023), წლიური დაგეგმვა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება და ა. შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სკოლის წესდება (მუხლი 15) და შინაგანაწესი (მუხლი 29, 46) არეგულირებს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების, გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესებს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საშუალება აქვს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სკოლის დირექტორთან, სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, დისციპლინურ კომიტეტთან. სასკოლო საზოგადოების ყველა მხარეს შეუძლია ისარგებლოს გასაჩივრების და აპელაციის უფლებით. სკოლაში არსებობს სააპელაციო კომიტეტიც, სადაც შესაძლებელია გადაწყვეტილების გასაჩივრება. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი უფლებების დაცვის შესახებ ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, ხოლო მასწავლებლებს - შინაგანაწესის გაცნობისას. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის - პროექტი,**
- **სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,**
- **სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის წესდება,**
- **სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **შრომითი ხელშეკრულებები,**
- **მშობელთან დასადები ხელშეკრულება,**
- **დირექტორის, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის ანგარიშები,**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან;**
- **სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა.**

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას სკოლა აქვეყნებს სკოლის პირველი სართულის ფოიეში განცხადებების დაფაზე და ასევე მის გვერდზე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები (მაგალითად სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, დისც. კომიტეტის სხდომაზე მოწვევა). სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს სასკოლო საზოგადოებასთან უწყვეტ კომუნიკაციას. ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ჩატარდება მშობელთა კრებები, შეხვედრები მოსწავლეებთან. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების საუკეთესო საშუალებაა სკოლის ელექტრონული ჟურნალი https://onlineschool.emis.ge/, სკოლის ელ-ფოსტა, მესენჯერი.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლის სამეურვეო საბჭო წარმოადგენს მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც ირჩევა სამ წელიწადში ერთხელ. ასევე, წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო.
   ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ სკოლა მშობლებსაც შესთავაზებს თანამშრომლობის მრავალფეროვან აქტივობებს, სასკოლო პროექტებში ჩართულობას, მაქსიმალურად გაითვალისწინებს მათ ინიციატივებს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თანაბარი უფლებამოსილებით სარგებლობს სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **პედ. საბჭოს ოქმები,**
- **სამეურვეო საბჭოს ოქმები,**
- **მრჩეველთა საბჭოს ოქმები,**
- **სკოლის ელ ჟურნალი:** https://onlineschool.emis.ge/,
- **სკოლის სოც. გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100054971522778**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სახანძრო ინვენტარით. სკოლის ორივე სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი. 2022 წლის 17 ოქტომბერს სკოლამ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ავარიული განათების სისტემის მონტაჟისა და სხვენის ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით დამუშავების მიზნით და წარუდგინა ხარჯთაღრიცხვა. 2023 წლის 19 ივლისს მიიღო პასუხად, რომ სკოლამ შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული მიწერილობის შესაბამისად მოამზადოს შესასრულებელი სამუშაოების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, ასევე განახორციელოს ბაზრის კვლევა, რათა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს სკოლის დაფინანსება (სკოლა მცირებიუჯეტიანია). 2023 წლის 25 ივლისს სკოლამ მიმართა განცხადებით შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტს სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობის მიღების მიზნით, რაზეც რეაგირება არ განხორციელებულა. ***სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა.***
ასევე, არ არის შექმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.

სკოლაში მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. ექსპერტთა ვიზიტის დროს დათვალიერებითა და ექთანთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და სამუშაო პროცედურები ბრძანების შესაბამისია. სკოლაში დასაქმებულია ექთანი. სკოლის ექიმი 2023 წლის 1 მარტიდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სამსახურიდან. ორჯერ გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა მხოლოდ მოქალაქე მედდის კვალიფიკაციით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილია წერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექიმის შტატის ექთნის შტატით შენაცვლების თხოვნით, რადგანაც დაბა თიანეთში არსებობს ექიმის კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დეფიციტი.

სკოლას ემსახურება ექთანი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების N41/ნ/01-23/ნ საფუძველზე 260 მოსწავლეზე საჭიროა სკოლას ემსახურებოდეს ექიმი.

ასევე, ექთანი ჩანაწერებს აწარმოებს რვეულებში, რაც არ არის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ფორმების შესაბამისი.

საჭიროა სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული მიმართვები ბრძანების შესაბამისად აღრიცხოს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალში და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ ინფორმაცია შეიტანოს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში (დანართი N1.1); კონკრეტული პირის ავადობისა და მიმართვიანობის ზოგადი სიხშირის, კონკრეტული მიზეზით მიმართვიანობის სტატისტიკისა და სხვა მნიშვნელოვანი მონაცემების მარტივად ადმინისტრირებისთვის გამოიყენება სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი (დანართი N1.1.1). სამედიცინო კაბინეტში განთავსებული აღჭურვილობა და მედიკამენტები, დახარჯული მედიკამენტები და სამედიცინო მასალები შეიტანოს შესაბამის სააღრიცხვო ფორმაში (№2.2 დანართი), (№2.3 დანართი).

სკოლა რეაბილიტირებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ და აქვს რეაბილიტაციის პროცესის, ჩატარებული სამუშაოების ამსახველი წიგნი, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი ელექტროგაყვანილობის, წყალგაყვანილობის, გათბობის სისტემებისა და ა. შ. აღწერა და დეტალები, წარმოდგენილია შენობის სრული მახასიათებლები. *სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ). სკოლამ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში გააგზავნა თხოვნის წერილი შენობის მდგრადობის ექსპერტიზის მოთხოვნით, თუმცა წარმოდგენილ წერილზე არ ფიქსირდება თარიღი და ელექტრონული შტამპი.*

ვიზიტის შემდგომ სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, მტკიცებულებები და შესაბამისობის გეგმა. კერძოდ:

- *სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N177/10 (MIA32303051888-18/10/2023 საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები CPV75240000), რითაც დასტურდება, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსგან (დეპარტამენტი) შეისყიდა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მომსახურება 500 მ2- მეტი ფართობის მქონე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენასა და შესაბამისი წინადადებების მომზადებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ მომსახურება განხორციელდება მომსახურების მიმღების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ 20 (ოცი) სამუშაო დღეში. სკოლას საბოლოო დასკვნა ჯერ არ წარმოუდგენია, თუმცა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულია დასკვნის მიღება 2023 წლის 20 დეკემბრამდე.

- *სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის დირექტორმა 2023 წლის 23 ოქტომბერს #MES 1230001424820 წერილით მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საგანგებო სიტუაციების გეგმის შემუშავება-შეთანხმების თხოვნით. შესაბამისობის გეგმით სკოლამ გასსაზღვრა, რომ საგანგებო სიტუაციების შეთანხმებული გეგმა წარმოდგენილი ექნება 2023 წლის 20 დეკემბრამდე.*
- *სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, წარმოდგენილია, რომ სკოლის ექთანი სამედიცინო ოთახის ჟურნალების წარმოებას შესაბამისობაში მოიყვანს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით N41/ნ/01-23/ნ განსაზღვრულ ფორმებთან 2023 წლის 20 დეკემბრამდე.*
- *ექიმის ნაცვლად ექთნის დასქმებასთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 29 მარტის წერილი #MES9230000357491, საიდანაც ირკვევა, რომ (ორჯერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე სკოლაში შემოვიდა მხოლოდ ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირთა განაცხადები) სამინისტრო არაა წინააღმდეგი მიმდინარე ეტაპზე დროებით სკოლაში დასაქმდეს ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი.*
- *სკოლამ არგუმენტირებულად წარმოადგინა საქართველოს ექსპერტიზის ბიუროს წერილი #5005992723-17/09/2023 და #006590923 საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შენობის შესახებ. დასკვნით დასტურდება, რომ სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, რაიმე დაზიანებები არ შეინიშნება და მისი ექსპლუატაცია უსაფრთხოა.*

ინდიკატორი <u>მეტწილ</u> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვაში ჩართულია მრჩეველთა საბჭო, 2 მანდატური, მოქმედებს 4 შიდა და 3 გარე ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა. სამეთვალყურეო კამერებით კონტროლდება სკოლის სრული პერიმეტრი და შიდა სივრცე. სკოლაში დასაქმებულია 2 დარაჯი, დასვენებებზე მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას აქვს პანდუსი, რაც უზრუნველყოფს შშმ პირების სკოლის პირველ სართულზე თავისუფალ გადაადგილებას. სკოლის შესასვლელში, სასწავლო პროცესის დროს, მუდმივად არის სკოლის თანამშრომელი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ვიზიტორებს და აწარმოებს მათ აღრიცხვას. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების შესვლა მკაცრად კონტროლდება. საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ქცევის წესები, მორიგეობისა და გაკვეთილების ცხრილი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამისათვის სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები/სად. საათი, ტოლერანტობისა და ბულინგის, კიბერბულინგის საკითხების გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ასახულია "მე და საზოგადოების", „სამოქალაქო განათლების", „ბუნებისმეტყველების" და სხვა საგნობრივი პროგრამების კურუკულემებში. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია რეფერირების წესების შესახებ. სკოლის დერეფნებში გამოკრულია მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.
სკოლა ასევე ზრუნავს კიბერუსაფრთხოებასა და ციფრულ უსაფრთხოებაზე, რაც ასახულია სასკოლო ბლოგზე: https://tianeti1.blogspot.com/p/blog-page_18.html, დანერგილია „სამხედრო საქმის" შესწავლა და ამ პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესებს. გათვალისწინებულია სახანძრო უსაფრთხოებაზე საუბრები, სიმულაციები საგანგებო სიტუაციების მართვის მიმართულებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები - სველ წერტილებში არის თხევად საპონი, საპირფარეშოს ქაღალდი და ხელსახოცი, სკოლაში პერიოდულად ტარდება სადერატიზაციო სამუშაოები. ყველა სართულსა და დერეფანში განთავსებულია სანაგვე ურნები, რომელიც უზრუნველყოფს ჰიგიენის დაცვას. სველი წესით იწმინდება დერეფნები. სკოლას ემსახურება 3 დამლაგებელი. დამლაგებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილ დამლაგებლის ვადებულებებში იკვეთება, თუ სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის რა პროცედურები აქვს. სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელია სკოლის ექთანი.

რჩევა: სასურველია, თუ სკოლა შეიმუშავებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესებისა და პროცედურების ამსახველ დოკუმენტს. ამით სასკოლო საზოგადოება იქნება მაქსიმალურად ინფორმირებული სკოლაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ და მეტი პასუხისმგებლობით იზრუნებს ამ ნორმების დაცვაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლაში პერსონალური მონაცემები მუშავდება მიზნის შესაბამისად და ინახება, იმ ვადით, რომ მიღწეული იყოს მისი დამუშავების მიზანი. დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ საჯარო განხილვა/გავრცელება. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიღწევების, სერტიფიკატების, ფოტოების, ნამუშევრების და ა.შ) გასაჯაროებისთვის (საჭიროების შემთხვევაში) სკოლა წინასწარ უთანხმდება მოსწავლეს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს. დაცულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები. პერსონალურ მონაცემებთან შესაძლებელია შეხება ჰქონდეს სკოლის შემდეგ თანამშრომლებს: დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, დამრიგებელი/მასწავლებელი მათ კომპეტენციებს მიკუთვნებული დოზითა და პასუხისმგებლობით. თითოეულ მათგანს გაცნობიერებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა. დასაქმებულთა დისციპლინურ სახდელებში გათვალისწინებულია რეაგირებები ისეთ დარღვევებზე, როგორიცაა უფლებამოსილი პირის მიერ ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში ინფორმაციის შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, შეცვლის, გამჟღავნების ან ნებისმიერი სხვა უკანონო დამუშავება, უფლებამოსილი პირის მიერ ელექტრონული საინფორმაციო ბაზის წარმოების წესის დარღვევა;
ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მოსწავლის პირადი ინფორმაციის საჯაროდ გამოყენებისას (ფოტოები, ვიდეოჩანაწერები და სხვა) შეთანხმება ხდება სიტყვიერად. მნიშვნელოვანია მოსწავლის პერსონალურ მონაცემთან დაკავშირებით სკოლამ გააფორმოს ოფიციალური შეთანხმების დოკუმენტი მშობელთან/მეურვესთან.
სკოლას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონკრეტული მექანიზმი არ წარმოუდგენია.

ვიზიტის შემდგომ სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია იმის შესახებ, რომ სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი შემუშავდა და დამტკიცდა 2023 წლის 19 აგვისტოს. წესში წარმოდგენილია:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება
მუხლი 3. მონაცემთა დამუშავების მიზნები
მუხლი 4. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები
მუხლი 5. მონაცემთა სუბიექტები
მუხლი 6. მონაცემთა კატეგორია
მუხლი 7. მონაცემთა მიღების წყაროები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მუხლი 8. მონაცემთა სუბიექტის უფლებები
მუხლი 9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი
მუხლი 10. მონაცემთა გამჟღავნება
მუხლი 11. მონაცემთა შენახვა
მუხლი 12. ვიდეომონიტორინგი
მუხლი 13. მონაცემთა უსაფრთხოება
მუხლი 15. თანამშრომელთა ვალდებულებები

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

6. სკოლას სრული პერიმეტრი დაფარულია WIFI ქსელით, თუმცა ინტერნეტი 45 MB სიჩქარით მოეწოდება (ინტერნეტის სიჩქარე გაზომილია fast.net ონლაინ ინსტრუმენტის საშუალებით). ინტერნეტი ხშირად წყდება და ქმნის პრობლემებს. სკოლას არ აქვს საშუალება რომ გააუმჯობესოს ინტერნეტის სიჩქარე, რადგან ეს რეგულირდება მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. მასწავლებლები და მოსწავლეები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს, ხოლო მოსწავლეები student.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისას გათვალისწინებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციები. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა შეზღუდულია მოსწავლეებისათვის. სკოლა ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლა გეგმავს კიბერსივრცეში პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით მშობლებთან შეხვედრების ორგანიზებას. სკოლაში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში სახელწოდებით „სკოლა და ოჯახი“.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

7. ყოველწლიურად 10 დეკემბრისთვის სკოლის დირექტორი აკეთებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის უსაფრთხოების შესახებ. ანგარიშის ანალიზის შედეგად იგეგმება მომავალი საქმიანობები სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლა ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერთან და პარლამენტთან საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N 1 საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა,
- დირექტორის წერილი MES 522001301597-17/10/2022 და ხარჯთაღრიცხვა,
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტურქტურის განვათარების სააგენტოს წერილი MES 5230000902310-19/07/2023.
- სადამრიგებლო პროგრამები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პროეტის „სკოლა და ოჯახი“ პორტფოლიო,
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა;
- სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N177/10 (MIA32303051888-18/10/2023);
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 23 ოქტომბრის #MES 1230001424820 წერილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 29 მარტის წერილი #MES9230000357491;
- საქართველოს ექსპერტიზის ბიუროს წერილი #5005992723-17/09/2023 და #006590923 საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შენობის შესახებ;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი - #1კ-26, 19/08/2023.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას.

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა მდებარეობს დაბა თიანეთში, რუსთაველის ქუჩა N1, ს/კ 73.05.37.072 - 14557.00 კვ.მ მიწის ფართობზე. ***სკოლამ წარმოადგინა 2017 წლის 23 ოქტომბრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მას შემდეგ ამონაწრი არ განახლებულა.*** 2016 წლამდე სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა N1 (აშენდა 1980 წ) და N2 (აშენდა 1957წ) შენობებში, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო მიშენებული დერეფნებით ორი მხრიდან. 2016 წლიდან სკოლის N2 შენობის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ ფარგლებში და სასწავლო პროცესის ძირითადი პროცესი მიმდინარეობს ამ შენობაში. ფონდმა N2 შენობა მიიჩნია უფრო მყარ კონსტრუქციად. ორივე მხარეს მოიხსნა მაკავშირებელი დერეფნები და N2 ნაგებობა დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. N2 ძირითადი შენობა ორსართულიანია და მისი საერთო ფართობია 1833,29 კვ.მ.
N1 შენობა სამსართულიანია. შენობის ძირითადი ფართი გამოუყენებელია. განთავსებულია მხოლოდ სკოლის დახურული სპორტული დარბაზი, რისი რეაბილიტაციაც, ასევე, განახორციელა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა“. ამავე შენობის პირველი სართულის ფოიეში მოწყობილია სააქტო დარბაზი.
სკოლის ეზოში არის მცირე ნაგებობა, სადაც განთავსებულია სკოლის საქვაბე და გათბობის სისტემის მოწყობილობები. სკოლის ეზოში არის კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედანი და სარეკრეაციო ზონები. სკოლა შემოსაზღვრულია ღობით.
სკოლა შენობას ფლობს უზუფრუქტის საფუძველზე, არის სახელმწიფო ქონების მოსარგებლე 2016 წლიდან.
სკოლის ძირითადი შენობის (N2) პირველ სართულზე განლაგებულია:
   - ცენტრალური შესასვლელი და დერეფნები,
   - ადმინისტრაციის ბლოკი: დირექტორის კაბინეტი და კანცელარია,
   - საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სველი წერტილებით, დამხმარე ოთახით, გამწოვი სისტემითა და ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის სრული აღჭურვილობით, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებით.
   - კომპიუტერული ლაბორატორია 21 ქსელში ჩართული კომპიუტერით,
   - მომავლის კლასი შესაბამისი ტექნიკით,
   - ბიბლიოთეკა,
   - ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 2+2 და 1 ადაპტირებული სველი წერტილი,
   - 3 საკლასო ოთახი,
   - რესურსოთახი,
   - სამედიცინო კაბინეტი,

მეორე სართულზე განლაგებულია:
   - სამასწავლებლო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- პერსონალის (მამაკაცისა და ქალის) საპირფარეშოები
- ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 3+3 სველი წერტილით,
- 9 საკლასო ოთახი.

N1 შენობის პირველ სართულზე დერეფნის სივრცე გამოიყენება სააქტო დარბაზისთვის და აღჭურვილია აუდიოსისტემით, პროექტორის ეკრანით. მოცემული შენობის ნაწილია სპორტული დარბაზი გოგომენებისა და ვაჟების გასახდელებით, სპორტის მასწავლებლის კაბინეთით, აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით, კალათბურთის ფარებით, ფეხბურთის, კალათბურთის ბურთებით, კრივის ტომრებით, ტენისის მაგიდით და სხვა.

საკლასო ოთახებში სასკოლო მერხების საერთო რაოდენობა შეადგენს 264 ერთეულს. სულ სკოლას მიღება-ჩაბარების დოკუმენტებით აქვს 444 მერხი. გარკვეული ნაწილი დასაწყობებულია. სკოლას კი განაცხადი წარმოდგენილი აქვს 550 მოსწავლეზე (ორცვლიანი განრიგით, სკოლაში ირიცხება 260 მოსწავლე).

სკოლის ეზოში გაკეთებულია პოლიეთილენისა და ხის კონსტრუქცია - სათბური, რაც გამოიყენება საგანმანათლებლო აქტივობებისთვის.

რჩევა: სარგებლობაში არსებული ფართის დაზუსტების მიზნით, მნიშვნელოვანია განახლდეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და რესურსებით. საკლასო ოთახებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო რესურსები საგნობრივი პროგრამების შესაბამისად, გრაფიკული ორგანეიზერები, ტაბლოები, წიგნები, მანიპულატივები, ფიგურები და სხვა. რესურსები გათვალისწინებულია მოსწავლეებისათვის. პირველ სართულზე განთავსებულია მომავლის ოთახი (ჯეოსელის კლასი) შესაბამისი ტექნიკით, სკოლას აქვს 10 ლეფთოფი, 23 მომუშავე კომპიუტერი, 6 პროექტორი, 7 პრინტერი, 1 ტენისის მაგიდა, ჭადრაკის დაფა და რესურსოთახის მრავალფეროვანი რესურსები, ასევე აღჭურვილია მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარით. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია მაგნიტური დაფები, სათავსო-კარადები, მასწავლებლის მაგიდა სკამით და სხვა... ეს ყველაფერი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, თითოეულ მოსწავლეს საშუალებას აძლევს აქტიურად და ნაყოფიერად ჩერთოს სასწავლო პროცესში. საბუნებისმეტყველო, ისტ ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკაში გამოკრულია ქცევისა და სარგებლობის წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და აქვს ბიბლიოთეკა. წარმოდგენილია 1007 მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. სკოლა იღებს სახელმძღვანელოებს, რაც აღრიცხული და დანომრილია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლა რესურცენტრიდან იღებს ჟურნალ „მასწავლებელს“, რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინრე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ბიბლიოთეკარო აწარმოებს ჟურნალებს: წიგნობრივი ფონდის საინვენტარო წიგნს, მეთოდური ლიტერატურის აღრიცხვის ჟურნალს, ნაჩუქარი წიგნების აღრიცხვის ჟურნალს, ჩანაცვლების ჟურნალს. ჟურნალები ზონარგაყრილი და ბეჭდითაა დადასტურებული. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. ყველა წიგნს პირველ და მე-17 გვერდზე სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, სამკითხველო მაგიდები და სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს. ბიბლიოთეკას განსაზღვრული აქვს დებულება. შედგენილია ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ასევე მრავალფეროვანი მეთოდური ლიტერატურა მასწავლებლებისათვის.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი შიდა სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი, რაც ხელმისწავდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. ინკლუზიური სასწავლო გარემოს ფორმირება სკოლის პრიორიტეტია. სკოლას აქვს გარე პანდუსი, რომელიც შედის პირველ სართულზე. პირველ სართულზეა განლაგებული სკოლის ყველა საერთო სარგებლობის კაბინეტი: ისტ ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამედიცინო ოთახი, რესურსოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი, ბიბლიოთეკა. ***არ არის დამონტაჟებული პანდუსები სპორტულ დარბაზში გადაადგილებისათვის.*** რესურსოთახი აღჭურვილია ყველა საჭირო სასწავლო რესურსით. სკოლას ემსახურება 1 სპეც. მასწავლებელი.
   სკოლის ადმინისტრაცია ცდილობს სკოლაში შექმნას ინკლუზიური სასწავლო გარემო თითოეული მოსწავლისთვის. ყველა საკლასო ოთახი დანომრილია, გამოკრულია გაკვეთილების განრიგი ორ ცვლად. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსები, სიტყვების კედელი, საგანმანათლებლო-მეთოდური პოსტერები, მათემატიკური მანიპულატივები. მითითებულია ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, რესურსოთახის აბრები, ასევე საპირფარეშების, შემოსასვლელისა და გასასვლელის ნიშნულები. სკოლაში გამოკრულია საევაკუციო გეგმა. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებულ შესაბამის, უსაფრთხო გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ვიზიტის შემდგომ სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია სპორტული დარბაზის შესასვლელში პანდუსის გაკეთება. ამ მიზნით სკოლამ მიმართა თიანეთის რესურსცენტრს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, რათა განხორციელდეს პანდუსის მიშენება. სკოლა მცირებიუჯეტიანია და საკუთარი ფინანსებით ვერ განახორციელებს მოცემულ სამუშაოებს. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია პანდუსის მოწესრიგება 2023 წლის 20 დეკემბრამდე.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სკოლაში არის შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი და შიდა სპორტული დარბაზი, ეზოში ღია სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სკოლას აქვს კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები: პოსტერები, რუკები, ცხრილები, თვალსაჩინოებები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, ჭკვიანი დაფა, ჭადრაკის დაფები, მაგნიტური დაფები, პროექტორები, კომპიუტერული ლაბორატორია და WIFI ინტერნეტი, ასევე სახარჯი საკანცელარიო მასალები. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის ციფრული სტრატეგია;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- მიღება-ჩაბარებების ამსახველი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი, სარეგისტრაციო ჟურნალები;
- გრიფირებული სახელმძღვანელოები;
- ინვენტარიზაციის წიგნი;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა;
- დირექტორის წერილი #MES4230001415616-21/10/2023.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციის, კანცელარიის, სამასწავლებლოს სივრცეებში განთავსებულია პორტაბელური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპიუტერები და ლეფთოფები, პრინტერები, სკანერები. სკოლის სრული შიდა სივრცე WIFI ინტერნეტწვდომის საშუალებას იძლევა, თუმცა ინტერნეტის დაბალი სიხშირე ხშირად ქმნის პრობლემებს, ამას ემატება კომპიუტერების მოძვლებული სისტემები ლაბორატორიაში. „ზოგადი განათლების რეფორმის " ფარგლებში სკოლას მიღებული აქვს 9 პორტაბელური კომპიუტერი, რომელსაც აქტიურად იყენებენ დაწყებიტი საფეხურის მასწავლებლები და კათედრები. თითოეულ პედაგოგს აქვს შესაძლებლობა ამ რესურსის გამოყენებით გაკვეთილი ჩაატროს და თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით სრულფასოვანი სასწავლო პროცესი შესთავზოს მოსწავლეებს, შესრულდეს სხვადასხვა აქტივობა, კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები ელექტრონული რესურსის გამოყენებით. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო ინსტანციაში. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ინტერნეტი ხშირად ითიშება, დაბალი ხარისხისაა და ქმნის ბარიერებს სამუშაო პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და სკოლის პერსონლისთვის. სკოლა აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ციფრული ტექნიკით. სკოლის ციფრულ სტრატეგიაში წარმოდგენილია (არასავალდებულო)კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი კათედრებისთვისა და მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარებები ციფრული ტექნიკის შესახებ.
- ელექტრონული ჟურნალი: https://onlineschool.emis.ge
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან .

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში დანერგილია და პრაქტიკაში მუშაობს საქმისწარმოების ღია, მოქნილი და მოსწავლეზე ორიენტირებული სისტემა. მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით.
   სკოლა აწარმოებს ჟურნალებს მატერიალური სახითაც:
   - საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს,
   - გასული დოკუმენტაციის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს,
   - შემოსული დოკუმენტაციის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს,
   - საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს.

   სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით.
   მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადიობის მოწმობის ასლები, ფოტო, ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან, მოსწავლეთა დახასიათებები და სხვა.
   სკოლას არ აქვს გაწერილი საქმისწარმოების წესი, თუმცა საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საქმისწარმოება მოწესრიგებული და კანონმდებლობის შესაბამისია.

   ვიზიტის შემდგომ სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია საქმისწარმოების წესის შემუშავება 2023 წლის 20 დეკემბრამდე.

ინდიკატორი <u>მეტწილ</u> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eflow - ს საშუალებით. აღირიცხება შემოსული, გასული კორესპოდენციები და დირექტორის გამოცემული ბრძანებები. ამის გარდა სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა tianeti1@mes.gov.ge . სკოლა იყენებს email.mes.gov.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სკოლა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდის საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელ ყველა უწყებას ინფორმაციას. კანონის შესაბამისად რეაგირებს შემოსულ წერილებზე და ახორციელებს უკუკავშირს. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი პროტოკოლი - 10 დეკემბრის ანგარიშის სახით. eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის eflow და eschool ციფრული პლატფორმები;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი და ვიზიტის დროს გადამოწმებული საქმისწარმოების შესაბამისი დოკუმენტები;
- თანამშრომელთა, მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- გასაუბრება საქმისმწარმოებელთან;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ-გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სოციალურ ქსელში არსებული პერსონალური გვერდით. კერძოდ; სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც აქტიურად ასახავს ინფორმაციას სიახლეებისა და აქტივობების შესახებ. სკოლას ოფიციალური ვებ-გვერდი არ გააჩნია, თუმცა აქვს ბლოგი: ***https://tianeti1.blogspot.com/***. სკოლის facebook გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. სკოლა საჯარო დანიშნულების ინფორმაციას განათავსებს სკოლის განცხადებების დაფაზე. ასევე, მშობელთა კრებებზე - დამრიგებლების მეშვეობით. ასევე იყენებს სკოლის სოციალურ გვედს. კლასის დამრიგებლები მშობლებთან საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებენ Facebook, Messenger ჯგუფებს, სკოლის ელექტრონული ჟურნალით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლა განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას იღებს საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელი უწყებებიდან და შესაბამისად, ინფორმაცია სანდო და უტყუარია. განხორციელებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია იმ მასწავლებელთან, სკოლის თვითმმართველობასთან, ან სკოლის წარმომადგენელთან, რომელიც ახორციელებს აღნიშნულს.
სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სკოლის პედაგოგთა ფბ გვერდს https://www.facebook.com/profile.php?id=100054971522778. პედაგოგთა თქმით, ამ გვერდზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება ფორმალური, თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. აქ ზიარდება საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსული ინფორმაცია, ასევე სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებები და ა.შ. ინფორმაცია ზიარდება სანდო წყაროზე დაყრდნობით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოყენებს სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლას აქვს ელ. ჟურნალი და ელ. პლატფორმა - თიმსი და სოციალური გვერდები. დირექციის განმართებით, სასკოლო ელ. გამოკითხვები ამ სივრცეში წარიმართება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. ***სკოლას არ ჰქონდა ოფიციალური ვებ-გვერდი.*** დირექტორის განმარტებით, ახალი სასწავლო წლისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრდაჭერით, უნდა შექმნილიყო სკოლის ვებ-გვერდი. მანამდე სკოლა მოაწესრიგებდა ყველა იმ საჭირო ინფორმაციას, რისი გამოქვეყნებაც სავალდებულოა სკოლისთვის: მისია, ხედვა და ღირებულებები, სტრატეგიული განვითარების გეგმა, შინაგანაწესი, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, საკონტაქტო ინფორმაცია, სტრუქტურა და სხვა.

სკოლამ ვიზიტის შემდგომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრდაჭერით შექმნა ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/ სკოლების პორტალზე. მისი მისამართია: https://bit.ly/3tUDwrN .

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი, ხოლო არსებულ ბლოგზე წარმოდგენილი იყო პროექტის „ციფრული სკოლა“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობები. არ იყო წარმოდგენილი სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და სხვა.

სკოლამ მოგვიანებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრა, რომ ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა დასრულდება 2023 წლის 20 დეკემბრამდე.
სკოლამ ვიზიტის შემდგომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრდაჭერით შექმნა ვებ-გვერდი https://bit.ly/3tUDwrN. ვებგვედრზე წარმოდგენილია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, მოკლე ინფორმაცია სკოლის ფინანსური მდგრადობის შესახებ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ზოგადი ჩარჩოები და საკონტაქტო ინფორმაცია.
არ არის ასახული პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის ბლოგი: *https://tianeti1.blogspot.com/*
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის სოც. ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100054971522778
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის ციფრული განვთარების სტრატეგია;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, საქმისმწარმოებელთან;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა;
- სკოლის ახალი პორტალი: https://bit.ly/3tUDwrN

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრულია მოსწავლის ვაუჩერული დაფინანსებიდან, მასწავლებელთა სახელფასო დანამატებითა და ინკლუზიური განათლების მიმართულებით მიწოდებული დანამატებით. სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება კანონის შესაბამისად.
   სკოლა ფინანსურად არამდგრადია. სკოლა ვერ იღებს ეკონომიკურ შემოსავლებს. ვერ ხერხდება ფართების გაიჯარება. სკოლის რესურსებით აღჭურვის ძირითადი წყაროა საგანმანათლებლო პროექტებში აქტიური ჩართულობა. სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში, თიანეთში, სადაც ზამთარი მკაცრი პირობებით გამოირჩევა. სკოლის გათბობას ხმარდება დიდი ოდენობის გაზმომარაგება, რაც მწვავედ აისახება სკოლის ბიუჯეტზე. გათბობის სეზონზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსურ დეპარტამენტში გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე მიღებული დანაკლისი თანხის მიღებით ხერხდება დავალიანების გადახდა. ***ფინანსური პრობლემების გამო, ვეღარ ხერხდება სამოქმედო გეგმაში ისეთი აქტივობების გათვალისწინება, რასაც ესაჭიროება დამატებითი***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფინანსები: წიგნადი ფონდის განახლება, ტექნიკის განახლება, სკოლის მოვლა-პატრონობა (მცირე რემონტები), საგანმანათლებლო რესურსების შეძენა და სხვა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლა ყოველი წლის ნოემბერში ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას და წარადგენს შესაბამის სამსახურთან. წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტს, საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის ცვლილება, თუმცა, ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს, დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან წელიწადში ორჯერ წარადგენს ფინანსურ ანგარიშს. სკოლის ბუღალტერი თანამშრომლობს თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფინანსისტთან, რის ფარგლებშიც ხდება წლიური ბალანსის წარდგენა, სკოლაში მიმდინარე ფინანსური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის შესყიდვების გეგმა;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის ბიუჯეტი და დაფინანსების დინამიკა;
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- შესყიდვების გემის დამტკიცების ბრძანება;
- მიღება - ჩაბარების აქტები;
- საიჯარო ხელშეკრულებები;
- ბაზრის კვლევა.
- გასაუბრება სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია დაცულობის და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო. პედაგოგები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არსებული ურთიერთობები მოსწავლეთა უფლებების დაცვაზე, მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. თითოეულ მოსწავლეს საშუალება აქვს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, რომელიც სკოლას გამოკრული აქვს საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის. შინაგანაწესში გათვალისწინებულია მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მოსწავლის მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, სკოლაში ჩაცმულობის წესი.
   მოსწავლეთა უფლებების დაცვის სამსახურში არიან მანდატურები და სკოლის თანამშრომლები. რეფერირების მიმართულებას სკოლის მანდატურის სამსახური კურირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აგრეთვე, სკოლას აქვს შინ სწავლების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციები მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის შესახებ.
მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით. სკოლაში ყველა მოსწავლეს აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება.
ადგილზე ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა ისაუბრეს მოსწავლეთა უფლებების დაცვაზე, მანდატურის სამსახურის მიერ პრევენციის მიზნით გატარებულ ღონისძიებებზე და საინფორმაციო შეხვედრებზე როგორც მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან და მასწავლებლებთან.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, რომელიც გამოკრული აქვს საინფორმაციო დაფაზე. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში.
   დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია კათედრებთან ერთად ხელს უწყობენ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას, უფლებების დაცვასა და მოვალეობებს. სკოლაში ყველა საფეხურზე ეტაპობრივად ინიშნება კლასის საათი, სადაც განიხილება საორგანიზაციო საკითხები მოსწავლეთა უფლებების/მოვალეობების შესახებ, როგორ არის შესაძლებელი ამ უფლების დაცვა და რა მექანიზმები არსებობს. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები შესაბამისი ნიშნულებით. სკოლის დირექტორის განმარტებით მიმდინარე წელს ერთ - ერთი პრიორიტეტი იყო მშობელთა ჩართულობის გაძლიერება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. მუშაობა აქტიურად გაგრძელდება 2023 – 2024 სასწავლო წელსაც.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სკოლას არ აქვს დადებული ხელშეკრულებები მშობლებთან.

   რჩევა: მნიშვნელოვანია სკოლამ უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს ხელშეკრულებების გაფორმება მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ხელშეკრულებები გატარდეს სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,
- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- დამრიგებლის ანგარიში;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი,
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100054971522778

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის შინაგანაწესით, სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის პროცედურები. შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში.
   სკოლა არსებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში იღებს ყველა მოსწავლეს, დისკრიმინაციის გარეშე. კლასში მაქსიმუმ 29 მოსწავლეა. მკაფიოდ დოკუმენტირებული არ არის, თუმცა, სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს, რასაც მოწმობს სკოლის ელექტრონული ბაზა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ გაიცემა საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი, ხოლო საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ ზოგადი განათლების ატესტატი, რაც განიხილება და მტკიცდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით. სპეც. საჭიროების მოსწავლეების შემთხვევაში მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასებიდან გამომდინარე მოსწავლეებს უდგებათ ინდივიდუალური გეგმები.
   რჩევა: სასურველია სკოლამ შექმნას დოკუმენტი, სადაც იქნება მოცემული საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო, კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას დაცული აქვს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურები. ამ მხრივ სკოლა თანამშრომლობს ადგილობრივ რესურსცენტრთან. სკოლაში ბრძანების საფუძველზე მოხდება მოსწავლის ჩარიცხვა და და ამორიცხვა, ექსტერნის შედეგზე მიბმული ქმედებები, მობილობა, საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეჩერება. გარდა ამისა, მოსწავლის მიერ კლასისა და საფეხურის დაძლევის შედეგები განიხილება პედსაბჭოზე.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, რაც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ინფორმაციების მიწოდება მოხდება სადამრიგებლო კლასის საათზე, სოციალური ქსელით, საინფორმაციო დაფის მეშვეობით. აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკოლამ მე-5 კლასში მინიმუმ ორი უცხოური ენა უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს ასარჩევად. სკოლაში მეოთხე კლასის დასასრულს ჩატარდება დამრიგებლისა და ენის სპეციალისტების მიერ ერთობლივი საინფორმაციო კამპანია ენის არჩევასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

არჩევანის გაკეთების პროცესში, პირველ რიგში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა (მშობელთა) ინტერესები და სკოლის შესაძლებლობები, როგორც ადამიანური რესურსის, ასევე სასწავლო რესურსებისა და ფინანსური შესაძლებლობის ჩათვლით. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შესთავაზებს არჩევით საგნებსაც. მოცემულ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები.
სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლას, 2023-2024 წელის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, ფასიანი წრეები არ აქვს გათვალისწინებული.
სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია ზიარდება პირველი სართულის დერეფანში საჯაროდ, საინფორმაციო დაფაზე.
ვერ ხერხდება კვების ბლოკის (ბუფეტი) ფუნქციონირება (არ არის მოიჯარე მსურველი), რის გამოც მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება სკოლაში ისარგებლონ კვების ბლოკის მომსახურებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სკოლაში მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს სასკოლო რესურსებით, ჩაერთოს აქტივობებში, მიიღოს ინფორმაცია პროექტების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ყველა წესის დაცვით. სკოლის შინაგანაწესში მნიშვნელოვანი ყურადღება მახვილდება „დისკრიმინაციაზე“, მის ცნებაზე და სკოლის კულტურაზე ამასთან მიმართებაში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი,**
- **სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);**
- **სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100054971522778**
- **ბრძანებები: მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებაზე, მობილობაზე, მოსწავლის ჩარიცხვაზე, განსხვავებულ ვადებში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ, შეტყობინება სტატუსის შეჩერებაზე.**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.**

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთეკრულებაი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მკაფიოდ გაწერილი მექანიზმი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია, თუმცა ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი ბევრი პირობა გააჩნია. სკოლას აქვს ყველა რესურსი იმისთვის, რომ მოსწავლემ იგრძნოს თავი მშობლიურ გარემოში და იყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაცული. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მიერ წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებები მოსწავლეს და მშობელს შეუქმნის წარმოდგენას მომავალ სასკოლო ცხოვრებაზე. სკოლაში მოსწავლის მიღება და რიცხოვნობის განსაზღვრა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის მიხედვით.

რჩევა: განისაზღვროს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლას აქვს მოსწავლის საბავშვო ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის გამოცდილება, თუმცა ეს ყველაფერი არ არის დოკუმენტირებული. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციის პირობები. სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ასევე საყურადღებოა მოსწავლის მე-4 კლასიდან მე-5 კლასში გადასვლის კრიზისული ეტაპი, როდესაც მოსწავლეებს აქვთ ახალ გარემოსთან, ახალ მასწავლებლებთან შეგუების ფსიქო-ემოციური ფონი, სკოლა ამ ეტაპზეც შესთავაზებს მოსწავლეებს შესაბამის აქტივობებს. სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი და სხვა განმავითარებელი რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლის ადმინისტრაციამ და მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მოსწავლეებს შესთავაზებენ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, კლასგარეშე აქტივობებს, არაფორმალურ შეხვედრებსა და გასვლით აქტივობებს, რაც ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოში. ამ მიმართულებით აქტიურად ითანამშრომლებენ მოსწავლის მშობელთანაც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. მოსწავლე სკოლიდან მიიღებს აქტიურ მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამისათვის სკოლა გამოიყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი საგნობრივი პროგრამები მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ ამის გათვალისწინებით. მოსწავლეთა საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები გეგმავენ განახორციელონ ინდივიდუალური შეხვედრებიც. სკოლაში 2023-2024 სასწავლო წელს საბაზო-საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია წლიური გამოცდები. წლიური გამოცდა დაგეგმილია VII-VIII-IX-X-XI კლასებში:
   - VII კლასი- ქართული ენა, ინგლისური ენა;
   - VIII კლასი- მათემატიკა, ისტორია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- IX კლასი- გეოგრაფია, ქიმია;
- X კლასი- ფიზიკა, მოქალაქეობა;
- XI კლასი- ქართული ენა, ბიოლოგია.

სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არ ჩანს წლიური გამოცდის მიზანი და როლი, თუმცა ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ წლიური გამოცდის მიზანია დადგინდეს მოსწავლის მზაობა ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში და თავად მოსწავლემაც გააკეთოს რეფლექსია/თვითშეფასება ამ მიმართულებით. გამოცდის ქულა არ აისახება წლიურ შეფასებაზე.

სკოლაში მესამე თაობის დანერგვის სრული პროცესი მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაზე, ამ მიმართულებით სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს, რომელიც ორიენტირებულია მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე. ამის გარდა სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან კლუბურ მომსახურებას. სკოლა აქტიურად ჩაერთვება სასკოლო ოლიმპიადებსა და დიაგნოსტიკური შეფასების პროცესებში. ასევე მნიშვნელოვანია მშობელი ყოველდღიურ რეჟიმში იღებდეს ინფორმაციას სკოლის ელექტრონული ჟურნალის საშუალებით შვილის აკადემიურ შედეგებზე. საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდებსთვის მოსწავლეს დაეხმარება დამრიგებელი, რომელიც ზრუნავს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე და აწვდის მოსწავლის მშობელს ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით - სკოლის ექსტერნის, ოლიმპიადების, სემესტრული გამოცდების, საშემდოგომოს ჩატარების წინ ყველა მოსწავლეს წინასწარ შექმნილი გრაფიკის საფუძველზე უტარდებათ კონსულტაციები. საჭიროების შემთხვევაში სკოლა სთავაზობს მოსწავლესა და მის მშობელს შინ სწავლების მომსახურებას, რომელიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით წახალისებულია დამატებითი/არაფორმალური აქტივობები და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს. მოსწავლეთა თვითმმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, რომლებიც აირჩევიან შესაბამისი საფეხურების მოსწავლეთა მიერ. მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თვითმმართველობაში ირჩევენ თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. მოსწავლეთა თვითმმართველობა:

ა) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;

ბ) უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;

გ) ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში;

დ) სკოლის წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;

ე) წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს

სკოლაში აქტიურად მუშაობს კლუბი „შეიცან თავი შენი“, რომელიც დაფუძნებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების“ მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრთა ინიციატივით; პროექტის ინიციატორია საქართველოს კულტურის აკადემია, რომელიც საქართველოში ფინეთის საელჩოსა და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრანტით ახორციელებს პროექტს „ინკლუზიით ვაძლიერებთ განათლების სისტემას.“ კლუბის მიზანია: არაფორმალური განათლების პრინციპების დაცვის გზით, ზოგად განათლებაში მოსწავლეთა ცოდნის, უნარების, კომპეტენციებისა და ღირებულებების განვითარება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს არაფორმალური განათლების ღონისძიებების დანერგვას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ფორმალურ განათლებაში ეფექტიან ინტეგრაციას; სკოლის ყველა მოსწავლისათვის(მათ შორის სსსმ და შშმ პირები) საკუთარი უნარების გამოხატვის შესაძლებლობას; სასკოლო პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერას; პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას; სასკოლო ცხოვრებაში სხვადასხვა შესაძლებლობების, უნარის, ეთნიკური და სხვა კუთვნილების მქონე მოსწავლეთა სრულფასოვანი ინკლუზიის ხელშეწყობას. კლუბს აქვს წესდება, ლოგო, დევიზი.

სკოლაში შექმნილია ასევე სამოქალაქო განათლების კლუბი.

სკოლაში აღინიშნება; „წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე,“ „საქართველოს ოკუპაციის დღე,“ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, საქველმოქმედო აქცია „ერთი დღე სხვისთვის“. სასკოლო პროექტები კავშირშია დემოკრატიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კულტურის კომპეტენციებთან და ასწავლის ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასებას, მოქალაქეობრივ აზროვნებას; უმუშავებს თანამშრომლობის უნარებს და პასუხისმგებლობის, საკუთარი თავის შეცნობისა და კრიტიკული აღქმის უნარებს.სასკოლო პროექტი კავშირშია ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან, აგრეთვე ესგ-თი განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებთან. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად. ტარდება ლექცია-საუბრები თემებზე: ინტერნეტთამაშები და მოზარდები, ასაკობრივი თავისებურებები, ჯანსაღი ცხოვრების წესი, სასკოლო ბულინგი, ჰიგიენის საკითხები და სხვ. ლექცია-საუბრებს უძღვებიან სკოლის მასწავლებლები და სკოლის ექიმი, აგრეთვე, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მშობელი. დაიგეგმა საკოლო პროექტი „მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლები თიანეთში.“ პროექტი ესგ-ის მე-5 მუხლთან (სკოლის საერთო კულტურა).; პრიორიტეტული მიმართულებებიდან კი-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ადამიანის უფლებები. ასევე, დაგეგმილია სასკოლო პროექტი „შენ ხარ მოძღვარ ქართლისაი, სვეტი ნათლისაი”. პროექტის მიზანია: საგნობრივი კათედრების,მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და ადგილობრივი თემის ჩართვა და დაინტერესება საკითხით; ნინოს გზის შესწავლა კაბადოკიიდან ბოდბემდე, თიანეთის გავლით, საშუალებას მისცემს ყველა მონაწილეს, შეისწავლოს და გაეცნოს ერწო-თიანეთში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებულ კულტურის ძეგლებს(ძველი და ახალი ჟალეთი, ფუძნარის ეკლესია), მათ დღევანდელ მდგომარეობას, რაც ხელს სეუწყობს სპორტულ, სახელოვნებო, საკლუბო აქტივობებსა და სასკოლო პროექტებს; პროექტის ფარგლებში განხორციელდება აქტივობები, კომპლექსური დავალებები, რომელიც დამუშავდება კათედრებისა და საგნების მიხედვით.

სკოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლასის დამრიგებელიც, რომლის ფუნქციებშიც წარმოდგენილია არაფორმალური განათლების აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა; ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოფენილი იყო სასკოლო პროექტების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ამსახველი პროდეუქტები, ფოტოები და პოსტერები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

6. მასწავლებელა ინტერვიუირებით იკვეთება, რომ მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთაგან უკუკავშირის მისაღებად სკოლა გეგმავს განახორციელოს მოსწავლეთა მშობელთა/მეურვეთა გამოკითხვები. მშობელთა მაქსიმალური ჩართულობით, მოსწავლის სასკოლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებით, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების კუთხით, მასწავლებლებთან სწორი კომუნიკაციით, მოხდება მოსწავლის ჩამოყალიბება ჰარმონიულ, სრულფასოვან, განათლებულ პიროვნებად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);**
- **სადამრიგებლო პროგრამები,**
- **სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100065391393742**
- **სასკოლო პროექტების პორტფოლიოები;**
- **კლუბის წესდება;**
- **სკოლის ვიზუალური დათვალიერება;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.**

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023 – 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა განვითარების გზას პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების ხელშეწყობის გათვალისწინებით. აქტიურად თანამშრომლობენ ილია წინმძღვრიშვილის სახელობის მრავალპროფილურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კოლეჯთან, როგორც წინამძღვრიანთკარში, ისე თიანეთის ფილიალთან; ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, კავკასიის უნივერსიტეტთან, თავდაცვის აკადემიასთან ,სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ამ თანამშრომლობის დამაფასტურებელი ფოტო მასალა ინახება ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე და ინახება სკოლაშიც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. კარიერული განვითარების შესაძლებობებთან დაკავშირებით სკოლა მუდმივად მიაწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს. პროფესიული ორიენტაციის საკითხები გათვალისწინებულია „მე და საზოგადოების“, „სამოქალაქო განათლების“, სადამრიგებლო პროგრამებშიც. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას განათავსებს სკოლის სოციალურ გვერდზე, ასევე წარმოდგენილია პროექტი მშობელთა ჩართულობის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევის გათვალისწინებით, სკოლა მოახდენს გაწეული მომსახურების ხარისხიანობის შეფასებასა და გასაუმჯობესებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- სადამრიგებლო პროგრამები,
- ფოტომასალები;
- „მე და საზოგადოების“, „სამოქალაქო განათლების“ კურიკულუმის ჩარჩოები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის (2023-2024) პროექტში წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების ძირითადი კონცეფცია, ინივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, ისგ ჯგუფის მუშაობის პრინციპები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრება-გაცდენების წესები.
   ასევე, შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (2022-2023), სადაც გაწრილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ყველა აქტივობა. სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ინკ. განათლების მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის განხორციელებულ აქტივობებსა და სასკოლო გარემოს, აყალიბებს დასკვნას, რაც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
   სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებელი და აქვს რესურს ოთახი. სასკოლო საზოგადოება ჩართულია და თანამშრომლობს სსსმ მოსწავლეების ადაპტაციასა და მიღწევის დონის გაუმჯობესებაზე. ინკლუზიური განათლების განვითარება სკოლის მნიშვნელოვანი ამოცანაა.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სასკოლო საზოგადოება ჩართულია სსსმ პირების წინსვლასა და განვითარებაში. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად მოახდენს მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირებას დაკვირვებების საფუძველზე და მშობელთან შეთანხმებით იწყებს საქმისწარმოებას, ამზადებს მიმართვის ფორმას. მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად მოსწავლეს ენიჭება სტატუსი. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სკოლაში ყალიბდება ისგ ჯგუფი და იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თითოეულ საგანში მოსწავლის/კანონიერი წარმომადგენლის საჭიროებების და პრიორიტეტების გათვალისწინებით, შემდეგ კი ხდება ისგ გეგმის გაცნობა კანონიერი წარმომადგენლისთვის. ისგ ჯგუფში ჩართულია მოსწავლის დამრიგებელი, მშობელი, სპეც. მასწავლებელი, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები.
   სკოლის ინფრასტრუქტურაც ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლეებს იყვნენ სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩართულნი.
   სკოლას აქვს გარე პანდუსი და პირველ სართულზეა განლაგებული ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

აღჭურვილი რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, ისტ ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ადაპტირებული სველი წერილი და სხვა.
სსსმ მოსწავლეების სოციალიზაციის მიზნით, იგეგმება არაფორმალური განათლების მრავალფეროვანი აქტივობები. ერთერთი მნიშვნელოვანი სასკოლო პროექტია „შეიცან თავი შენი“.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინდ გეგმები, მოსწავლის შეფასება, შიდა მონიტორინგი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, სპეც. მასწავლებელთან.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტითა და ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით იკვეთება, რომ რაიმე ტიპის დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ფინანსური რესურსების სიმცირის გამო, 2023-2024 სასწავლო წელში არ იგეგმება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. სკოლაში არ არის გაიჯარებული ფართები, რის ფარგლებშიც შეიძლება მოსწავლეებისთვის იყოს ხელმისაწვდომი სხვადასხვა ტიპის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე
<u>**დაწყებითი საფეხური**</u>

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტში ასახულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). ამ დოკუმენტით განსაზღვრულია:

- წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზის მიმართულებები
- კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია);
- კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).
- კურიკულუმის დანერგვის, <u>დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცესები;</u>

კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას (ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ).

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების შესწავლას, სასკოლო თემის წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ანალიზს მოსწავლეთა შედეგების ანალიზის, მოსწავლის/მშობლის ჩართულობის, კათედრებისა და ადმინისტრაციის მუშაობის შესწავლის გზით უწყვეტად სასწავლო წლის განმავლობაში და შედეგების ასახვას ახალ კურიკულუმში.

რჩევა: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის ფორმები (მაგალითად, მშობელთა შეხედულებების და პრიორიტეტების შესწავლის გზები).

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შედგენამდე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენი მიზნით, ატარებს გამოკითხვას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად განსაზღვრულია საკომუნიკაციო არხები. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს კურიკულუმების შემუშავებას, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმებს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. საგნობრივ ექსპერტებთან საუბრისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრებზე ხდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების განალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადეობის წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. **ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტთან**

4. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის გასაჯაროების გზები (სკოლის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან), ასევე სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები და პასუხისმგებლობები კურიკულუმის შემუშავებასთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;**
- **პედსაბჭოს ოქმები;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან.**

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით სკოლაში სწავლება იგეგმება ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას. საგნის კურიკულუმით, შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების, გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას.
   წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ყველა საგნობრივი პროგრამის ჩარჩო, თუმცა ზოგიერთ საგნის კურიკულუმის ჩარჩოში არის გარკვეული უზუსტობები, კერძოდ, ***საგანში „ჩვენი საქართველო“ ზოგიერთ სასწავლო თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ხოლო საგანში „მე და საზოგადოება“ დასაზუსტებელია შესასწავლი საკითხების მიზნობრიობა,*** მაგრამ ეს არ ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ სკოლას არ აქვს მზაობა. კათედრებს სწორად აქვს გაგებული კურიკულუმის აგების პრინციპი, გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუშაობენ კურიკულუმების დახვეწაზე და 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის სასკოლო კურიკულუმი საგნობრივი დანართებით საბოლოო სახეს მიიღებს..

რჩევა: გაწერილ იქნას მესამე და მეოთხე კლასის კურიკულუმებში საგანში „მე და საზოგადოება“ სამიზნე ცნებები შესაბამის საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით. ხოლო საგანში „ჩვენი საქართველო“ სასწავლო თემის დაგეგმვისას გაიწეროს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება;
ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რიგი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, გააზრებული აქვთ ამ ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში.
აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, მათთან დაკავშირებული საკითხები და კომპლექსური დავალებები, მოსწავლის შეფასების რუბრიკები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.
ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

3. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, შედეგების მიღწევის ტაქსონომიისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კუნსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. საგნის კურიკულუმის - კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.
ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი მოიცავს მე-5 კლ-ის მე-2 სემესტრს და მე-6 კლასის სრულ სასწავლო წელს. კომპლექსურ დავალებებს თან ერთვის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის რუბრიკები, სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი-ჩანაწერების დღიური, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებელს უმარტივებს მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნებებთან მიმართებით, ასევე მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ორგანიზებას. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ***ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;***

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის განვლილი პროცესებისა და წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას გააანალიზოს წინარე გამოცდილება და გაითვალისწინოს 2023-2024 სასწალო წლის კურიკულუმის საბოლოო ვერსიაში. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურუკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს. კათედრაზე პედაგოგები განიხილავენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს და აანალიზებენ. მიღებული გამოცდილების რეფლექსიის საფუძველზე იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის ახალი კურუკულუმების გეგმა-ჩარჩოებისა და კურუკულუმების შემუშავება.
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს.
ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;**
- **შეფასების რუბრიკები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბუნებისმეტყველების კურიკულუმში სასწავლო თემები წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს. ასევე მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების ისეთი იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, ამასთან, პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს, შესაბამისად, აღნიშნული იზრდება მოსწავლეთა დაინტერესება. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ჩართული არიან არაფორმალურ აქტივობებში, მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, ღიაობა და მაღალი მიმღებლობა, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და მათ შემოქმედებით პოცესებში ჩართვას.
   საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.
   ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში.
   ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე კონტექსტ და შედარების მაგალითები და რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია და სხვა.
   გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცეში.
   საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.
   ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

4. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე და მოსწავლეებს აქვთ გარკვეული პროცედურების გავლით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის შესაძლებლობა. მაგალითად, ბუნებისმეტყველებში სკოლას აქვს თანამედროვე მოთხოვნებით აღჭურვილი მრავალფუნქციური ლაბორატორია, რომელიც საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს თავად ჩაერთოს კვლევით პროცესებში თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში და ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით გამოიტანოს დასკვნები. საგნობრივი კურიკულუმით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების პროდუქტებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით, წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.
   ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

5. სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებულია, რაც დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მომავალი სასწავლო წლის სასკოლლო სასწავლო გეგმის პროექტით. პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს სწორედ ამ უნარის განვითარებას. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში გამოკვეთილია მიზანი, რომ დაწყებით საფეხურზე მოხდეს საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვას სწორედ მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდენს. სკოლის მასწავლებელთა ინტერვიუერებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;**
- **2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;**
- **შემაჯამებელი დავალების ანალიზები;**
- **კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან.**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია სავალდებულო თემები, რომელთაც შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები - ცნებები და, ასევე, ქვეცნებები კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით, ცნებებთან დაკავშირებულია შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები და რესურსები. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და დეტალურად აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხსა და ქვესაკითხებთან მიმართებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბუნებისმეტყველებაში ზოგიერთი თემის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნების დამუშავება და ცნებები, ქვეცნებები და ქვესაკითხები გაერთიანებულია ცხრილის ერთ გრაფაში. **სკოლას მიეცა რჩევა, რომ ბუნებისმეტყველების კურიკულუმში თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, გაიმიჯნოს ქვეცნებები და ქვესაკითხები.**
   კურიკულუმის ჩარჩოსა და შეფასების რუბრიკების გაცნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.
   ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენის შემდეგ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების (კითხვები მოცემულია კურიკულუმში) პასუხად მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში წარმოდგენილია ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მოცემული კრიტერიუმებით თვითშეფასება და ჯგუფის მუშაობის შეფასება ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაგეგმილი სასწავლო პროცესი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ***ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;***

3. სკოლას მხარდაჭერა. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. სკოლას კომპლექსური დავალების შეფასებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. მაგალითად, წარმოდგენილია ბუნებისმეტყველების განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიცნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა იაზრებს მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელობას მათი მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.
ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

.

4. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების I მოდელს, მუშავდება შესაბამისი რუბრიკები, რომელიც სექტემბრამდე პერიოდში ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული, შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობაზე დაკვირვების საშუალება მიეცემა გასაჯაროების შემდეგ. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. მაგალითად, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების საფუძველზე და მასწავლებელთა ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ და მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით. სკოლას აქვს მზაობა კათედრაზე გამართოს რეფლექსიური დიალოგი და თემების მიხედვით შექმნას მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე.
ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლისთვის მნიშვნელოვანია გამოყენებული შეფასების სისტემის ანალიზი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. გასაუბრებისას კათედრებმა და დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისთვის გეგმავენ სოლო ტაქსონომიის უფრო აქტიურ გამოყენებას, რომლის მიხედვითაც გაზომავენ მოსწავლეთა მიღწევებს და მისცემენ შესაბამის უკუკავშირს, შემდეგი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კათედრების მიხედვით აქტიურად იმუშაოს შემაჯამებელი დავალებების გაანალიზებაზე მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად, ანალიზის საფუძველზე დაიგეგმება ხარვეზების გამოსწორების გზები. თუმცა ამ ეტაპისთვის ***სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი თუ როგორ გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას.*** ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმი მუშაობდა, თუმცა არ იყო სისტემური და დოკუმენტირებული.

სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებები, რომ შემუშავებულია სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N1/-ჯ 25-19.08.2023წ.
განისაზღვრა, რომ სკოლაში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს დაწყებითი საფეხურზე შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსტიტენტური). დაწყებით საფეხურზე სკოლა განსაკუთრებულ ფოკუსს აკეთებს განმავითარებელი შეფასების მეთოდებზე და ინსტრუმენტებზე. შესაბამისად, წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების, პროცესების გაუმჯობესების მექანიზმები.

ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

6. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. ჟურნალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი.

რჩევა: სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.2.2.6. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის დანართები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმები,
- სასკოლო აქტივობებისა და ღონისძიებების პორტფოლიოები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი- დამტკიც. სკოლის დირექტორის ბრძანებით N1/-კ 25-19.08.2023წ.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმი შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, დაწყებით საფეხურზე (V კლასში) მეორე ენის არჩევა, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, სკოლის კურიკულუმის შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას სასწავლო პროცესში, განაპირობებს სკოლაში მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ჩამოყალიბებას. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშორმლობით, შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე. **ინდიკატორი 2.2.3.1.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სწავლების დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. გასაუბრებისას დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გამოსავლენად. სკოლაში დაწყებით საფეხურზე ხშირად ტარდება სხვადასხვა პროექტი, რომლებიც ასევე უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი 2.2.3.2.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სწავლების დაწყებით საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები. დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი, განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით, პროექტებით, საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. პედაგოგებმა და ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თანამშრომლობა, გუნდურობა, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. **ინდიკატორი 2.2.3.3.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, კურიკულუმის დაგეგმვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც დადებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

გავლენას მოახდენს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატზე ყველა დონეზე. **ინდიკატორი 2.2.3.4.აკმაყოფილებს სტანდარტით** დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **კურიკულუმის დანართები;**
- **სასკოლო პროექტის პორტფოლიო;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**
- **სკოლის ბლოგი https://tianeti1.blogspot.com/p/blog-page.html**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სკოლა კურიკულუმის რეალიზაციის პროცესში გეგმავს შეამოწმოს:

- რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი);
- რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება).

წარმოდგენილი დოკუმენტი სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში სკოლას მისცემს საფუძველს შეადაროს რეალურად მიმდინარე საქმიანობა დაგეგმილი პროცესებს.
რჩევა: სასურველია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები;
ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტთან

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- კათედრების მუშაობა
- დირექცია /ადმინისტრაციის მუშაობა სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მიმართულებით;
- მსობელთა/მოსწავლეთა ჩართულობა;

შესაბამისად, მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. **ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტთან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია.

კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.

კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

ინდიკატორი 2.3.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები.**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით(კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლამ გამოიყენოს მრავალფეროვან მეთოდები. **ინდიკატორი 2.3.2.1.შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი,ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; **ინდიკატორი 2.3.2.2.შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაციას და კათედრებს დაგეგმილი აქვთ ინფორმაციის მოპოვება შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის გამოყენების გზით. **ინდიკატორი 2.3.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები.
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ანალიზის საფუძველზე სკოლამ გეგმავს შექმნას რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტი სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტთან

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დუკუმენრის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება რამდენიმე მიმართულებით (მოსწავლეთა შედეგები, მოსწავლეთა/მშობელთა ჩართულობა, კათედრის და დირექციის მუშაობა. თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინტერვიუირებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე. **ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

<u>**საბაზო საფეხური**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტში ასახულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). ამ დოკუმენტით განსაზღვრულია:

- წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზის მიმართულებები
- კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია);
- კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).
- კურიკულუმის დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცესები;

კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას (ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ).

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების შესწავლას, სასკოლო თემის წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრასა და ანალიზს მოსწავლეთა შედეგების ანალიზის, მოსწავლის/მშობლის ჩართულობის, კათედრებისა და ადმინისტრაციის მუშაობის შესწავლის გზით უწყვეტად სასწავლო წლის განმავლობაში და შედეგების ასახვას ახალ კურიკულუმში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რჩევა: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის ფორმები(მაგალითად მშობელთა შეხედულებების და პრიორიტეტების შესწავლის გზები);

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შედგენამდე იქმნება სამუშაო ჯგუფი,რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენი მიზნით,ატარებს გამოკითხვას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად განსაზღვრულია საკომუნიკაციო არხები. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს კურიკულუმების შემუშავებას, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმებს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. საგნობრივ ექსპერტებთან საუბრისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრებზე ხდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების განალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადეობის წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. **ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტთან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

4. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის გასაჯაროების გზები (სკოლის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან), ასევე სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები და პასუხისმგებლობები კურიკულუმის შემუშავებასთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;**
- **პედსაბჭოს ოქმები;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან.**

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებით სკოლაში სწავლება იგეგმება ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას. საგნობრივი კურიკულუმით, შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას. გარკვეული უზუსტობებია საბაზო საფეხურის გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმები, კერძოდ, დასაზუსტებელია შესასწავლი საკითხებისა და სამიზნე ცნებების მიმართება, ზოგიერთი სასწავლო თემის ფარგლებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. **რჩევა: გეოგრაფიის სამივე კლასის კურიკულუმის ჩარჩოები სრულყოფილად(სავალდებულო თემების, საკითხებისა და სამიზნე ცნებების დონეზე) დამუშავდეს ყველა თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპის გათვალისწინებით, ამავე პრინციპით შეიქმნას მოქალაქეობის საგნის კურიკულუმის ჩარჩოებიც.**

ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტში, საგნობრივ კურიკულუმებში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს თუ რამდენად არის კორელაციაში საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. საბაზო საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რიგი დავალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, გააზრებული აქვთ ამ ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, მათთან დაკავშირებული საკითხები და კომპლექსური დავალებები, მოსწავლის შეფასების რუბრიკები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

3. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, შედეგების მიღწევის ტაქსონომიისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კონსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. საგნის კურიკულუმის - კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

4. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კომპლექსურ დავალებებს თან ერთვის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის რუბრიკები, სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი-ჩანაწერების დღიური, რომელიც სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებელს უმარტივებს მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნებებთან მიმართებით, ასევე მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ორგანიზებას. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. მაგალითად, ესთეტიკური აღზრდის კათედრას საბაზო საფეხურზე დანართებში წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფებში მუშაობის თვითშეფასების სქემები, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო კითხვებით არის მოცემული. აღნიშნული თვითშეფასება მოსწავლეებს დაეხმარება საკუთარი ცოდნის გაზომვაში და სამომავლოდ მისაღები ცოდნის სწორი ორიენტირების დადგენაში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუირებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ***ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;***

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას გაანალიზოს წინარე გამოცდილება და გაითვალისწინოს 2023-2024 სასწალო წლის კურიკულუმის საბოლოო ვერსიაში. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურუკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს. კათედრაზე პედაგოგები განიხილავენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს და აანალიზებენ. მიღებული გამოცდილების რეფლექსიის საფუძველზე იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის ახალი კურუკულუმების გეგმა-ჩარჩოებისა და კურუკულუმების შემუშავება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს.
ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

- შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემები წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს. ასევე მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების ისეთი იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, ამასთან, პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს, შესაბამისად, აღნიშნული იზრდება მოსწავლეთა დაინტერესება. საბაზო საფეხურის მოსწავლეები ჩართულნი არიან არაფორმალურ აქტივობებში, სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტებში (მტკიცებულებებში სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული სასკოლო პროექტების ანგარიშები სამი სასწავლო წლის განმავლობაში), მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, ღიაობა და მაღალი მიმღებლობა, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და მათ შემოქმედებით პოცესებში ჩართვას. საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე კონტექსტ და შედარების მაგალითები და რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია და სხვა. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცეში.
საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.
ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

4. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე და მოსწავლეებს აქვთ გარკვეული პროცედურების გავლით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის შესაძლებლობა. მაგალითად, სკოლას აქვს თანამედროვე მოთხოვნებით აღჭურვილი მრავალფუნქციური საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს თავად ჩაერთოს კვლევით პროცესებში თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში და ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით გამოიტანოს დასკვნები. მაგალითად, ესთეტიკური აღზრდის კათედრას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრები მე-8 კლასი ,,სიტყვა ინსტრუმენტულ მუსიკაში ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად“ და მე-9 კლასი ,,კატაკლიზმები მუსიკაში,“ სადაც ნათლად ჩანს რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე. პედაგოგებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის განხორციელდა პროექტი „მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლები თიანეთში.“ მოძიებული ფოლკლორული, ისტორიულ-გეოგრაფიული მასალის საფუძველზე მოსწავლეებმა შექმნეს ფოტო-ვიდეო მასალა, ბუკლეტები, რეკლამები, რუკები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სტენდები, კედლის გაზეთები (ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე), რომლებიც გამოფენილია სკოლის დერეფნებში, პროექტის ანგარიში წარმოდგენილია მტკიცებულებებში. ***ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;***

5. სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებულია, რაც დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებითა და მომავალი სასწავლო წლის სასკოლლო სასწავლო გეგმის პროექტით. პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს სწორედ ამ უნარის განვითარებას. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში გამოკვეთილია მიზანი, რომ საბაზო საფეხურზე მოხდეს საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვას სწორედ მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდენს. სკოლის მასწავლებელთა ინტერვიუერებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში.
ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.
- სასკოლო პროექტების ანგარიშები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია სავალდებულო თემები, რომელთაც შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები - ცნებები და, ასევე, ქვეცნებები კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით, ცნებებთან დაკავშირებულია შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები და რესურსები. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და დეტალურად აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხსა და ქვესაკითხებთან მიმართებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ფიზიკაში ზოგიერთი თემის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნების დამუშავება კომპლექსური დავალების პირობა მოცემულია პროდუქტის გარეშე და ცნებების გრაფაში მოცემულია მკვიდრი წარმოდგენები, დასაზუსტებელია კომპლექსური დავალების საკითხთან მიმართება. **სკოლას მიეცა რჩევა, რომ ფიზიკაში თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, ცნების მკვიდრი წარმოდგენები გაითვალისწინონ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შექმნისას, დააზუსტონ კომპლექსური დავალების საკითხთან მიმართება და კომპლექსური დავალების პირობაში აუცილებლად აღნიშნონ საბოლოო პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე**. გასაუბრებისას კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ფიზიკის კურიკულუმზე მიდის მუშაობა და სასწავლო წლის დასაწყისისთვის კურიკულუმი მიიღებს საჭირო სახეს. კურიკულუმის ჩარჩოებისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენის შემდეგ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების (კითხვები მოცემულია კურიკულუმში) პასუხად მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. საბაზო საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილია ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მოცემული კრიტერიუმებით თვითშეფასება და ჯგუფის მუშაობის შეფასება ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

3. სკოლას სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. სკოლას კომპლექსური დავალების შეფასებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. მაგალითად, წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. არის უზუსტობა წარმოდგენილ ისტორიის საგნის განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკაში, კერძოდ, ერთი თემის ფარგლებში ცნებებთან დაკავშირებული შედეგები, ერთმანეთისგან განსხვავებული წონით/ქულით ფასდება. **კათედრას მიეცა რჩევა, მოდიფიცირდეს ისტორიის საგნის ფარგლებში შემუშავებული რუბრიკა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საგნისათვის შემუშავებულ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, თითოეული ცნების შესაბამისი შედეგი თანაბარი ქულით შეფასდეს.**

ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

4. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების I მოდელს. საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით და იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რამდენად დაეუფლა იგი საგნობრივი პროგრამებით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რამდენად დაშორდა ან მიუახლოვდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, იგი განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს. განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის სწავლების პროცესში მაქსიმალურად ხელშეწყობა. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს საკუთარი პროგრესი თუ რეგრესი.

VII-IX კლასებში ნიშნები იწერება 10 ქულიანი სისტემით. საგანში ”სპორტი,“ საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნები – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- საგნის სემესტრული ნიშანი – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ.ქვემოთ);
- საგნის წლიური ნიშანი – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ნიშანში არ აისახება წლიური გამოცდის ნიშანი, რომელიც გათვალისწინებულია საბაზო და საშუალო საფეხურზე.
- საფეხურის საერთო ნიშანი – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;
ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;
გ) შემაჯამებელი დავალება.

სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში მოცემულია ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, შეფასება გაცდენების შემთხვევაში და გამოცდის ტიპები. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებთ, სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- საშემოდგომო გამოცდა;
- სემესტრული გამოცდა;
- ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა;
- წლიური გამოცდა VII-VIII-IX კლასებში (პედსაბჭოს გადაწყვეტილების შემთხვევაში).

სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი წლიური გამოცდების როლი და მიზანი. წლიური გამოცდები დაგეგმილია შემდეგი სახით:

- VII კლასი- ქართული ენა, ინგლისური ენა;
- VIII კლასი- მათემატიკა, ისტორია;
- IX კლასი- გეოგრაფია, ქიმია;

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ წლიური გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში საგამოცდოდ მოსწავლებს შესთავაზებენ კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს. გამოცდების მიზანია, დადგინდეს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში და ამის გათვალისწინებით გამოიკვეთოს საგნობრივი კურიკულუმის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. წლიური გამოცდის შედეგები არ აისახება მოსწავლის წლიურ შეფასებაზე.

საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის მუშავდება ისეთი რუბრიკები, რომლებიც სექტემბრამდე პერიოდში ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული. შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობაზე დაკვირვების საშუალება მიეცემა გასაჯაროების შემდეგ. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო.
მაგალითად, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების საფუძველზე და მასწავლებელთა ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ და მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით. სკოლას აქვს მზაობა კათედრაზე გამართოს რეფლექსიური დიალოგი და თემების მიხედვით შექმნას მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე.
ინდიკატორი 2.2.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლისთვის მნიშვნელოვანია გამოყენებული შეფასების სისტემის ანალიზი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. გასაუბრებისას კათედრებმა და დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისთვის გეგმავენ სოლო ტაქსონომიის უფრო აქტიურ გამოყენებას, რომლის მიხედვითაც გაზომავენ მოსწავლეთა მიღწევებს და მისცემენ შესაბამის უკუკავშირს, შემდეგი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კათედრების მიხედვით აქტიურად იმუშაოს შემაჯამებელი დავალებების გაანალიზებაზე მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად, ანალიზის საფუძველზე დაიგეგმება ხარვეზების გამოსწორების გზები. თუმცა ამ ეტაპისთვის ***სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი თუ როგორ გეგმავდნენ შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას.*** ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმი მუშაობდა, თუმცა დოკუმენტირებული არ იყო.

სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებები, რომ შემუშავებულია სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N1/-კ 25-19.08.2023წ. განისაზღვრა, რომ სკოლაში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს საბაზო საფეხურზე შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსტიტენტური). საბაზო საფეხურზე სკოლა განსაკუთრებულ ფოკუსს აკეთებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების მეთოდებზე და ინსტრუმენტებზე.

ინდიკატორი 2.2.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

6. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. ჟურნალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

რჩევა: სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 2.2.2.6. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის დანართები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმები,
- სასკოლო აქტივობებისა და ღონისძიებების პორტფოლიოები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი - დამტკიც. სკოლის დირექტორის ბრძანებით N1/-კ 25-19.08.2023წ.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასკოლო კურიკულუმი შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, სკოლის კურიკულუმის შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას სასწავლო პროცესში, არაფორმალური აქტივობები, სასკოლო კლუბების ფუნქციონირება განაპირობებს სკოლაში მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ჩამოყალიბებას. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშორმლობით, შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე. **ინდიკატორი 2.2.3.1.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სწავლების საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. გასაუბრებისას საბაზო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გამოსავლენად. სკოლაში საბაზო საფეხურზე ხშირად მიმდინარეობს სხვადასხვა პროექტი, ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, რომლებიც ასევე უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი 2.2.3.2.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სწავლების საბაზო საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები. დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი, განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით, სასკოლო პროექტებით, საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. პედაგოგებმა და ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თანამშრომლობა, გუნდურობა, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. **ინდიკატორი 2.2.3.3.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, კურიკულუმის დაგეგმვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც დადებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

გავლენას მოახდენს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატზე ყველა დონეზე. **ინდიკატორი 2.2.3.4.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **კურიკულუმის დანართები;**
- **სასკოლო პროექტის პორტფოლიო;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**
- **სკოლის ბლოგი https://tianeti1.blogspot.com/p/blog-page.html**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სკოლა კურიკულუმის რეალიზაციის პროცესში გეგმავს შეამოწმოს:

- რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში **(მონიტორინგი);**
- რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი **(შეფასება).**

წარმოდგენილი დოკუმენტი სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში სკოლას მისცემს საფუძველს შეადაროს რეალურად მიმდინარე საქმიანობა დაგეგმილი პროცესებს.
რჩევა: სასურველია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები;
ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტთან

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- კათედრების მუშაობა
- დირექცია /ადმინისტრაციის მუშაობა სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მიმართულებით;
- მსობელთა/მოსწავლეთა ჩართულობა;

შესაბამისად, მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. **ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტთან**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია.
კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.
კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით(კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლამ გამოიყენოს მრავალფეროვან მეთოდები. **ინდიკატორი 2.3.2.1.შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი, ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; **ინდიკატორი 2.3.2.2.შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაციას და კათედრებს დაგეგმილი აქვთ ინფორმაციის მოპოვება შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის გამოყენების გზით. **ინდიკატორი 2.3.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები.
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

2. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
3. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ანალიზის საფუძველზე სკოლამ გეგმავს შექმნას რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტი სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.
ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტთან

- 2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დუკუმენრის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება რამდენიმე მიმართულებით(მოსწავლეთა სედეგები, მოსწავლეთა/მშობელთა ჩართულობა, კათედრის და დირექციის მუშაობა. თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. ინტერვიუირებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე. **ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

<u>საშუალო საფეხური</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტში ასახულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). ამ დოკუმენტით განსაზღვრულია:

- წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზის მიმართულებები
- კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია);
- კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).
- კურიკულუმის დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცესები;

კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას (ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ).
წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების შესწავლას, სასკოლო თემის წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ანალიზს მოსწავლეთა შედეგების ანალიზის, მოსწავლის/მშობლის ჩართულობის, კათედრებისა და ადმინისტრაციის მუშაობის შესწავლის გზით უწყვეტად სასწავლო წლის განმავლობაში და შედეგების ასახვას ახალ კურიკულუმში.

რჩევა: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის ფორმები(მაგალითად მშობელთა შეხედულებების და პრიორიტეტების შესწავლის გზები)

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შედგენამდე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენის მიზნით, ატარებს გამოკითხვას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად განსაზღვრულია საკომუნიკაციო არხები. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს კურიკულუმების შემუშავებას, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმებს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. საგნობრივ ექსპერტებთან საუბრისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრებზე ხდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების განალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესებისა და წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადეობის წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. **ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტთან**.

4. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის გასაჯაროების გზები(სკოლის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან), ასევე სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები და პასუხისმგებლობები კურიკულუმის შემუშავებასთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;**
- **პედსაბჭოს ოქმები;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან.**

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებით სკოლაში სწავლება იგეგმება ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას. საგნის კურიკულუმით, შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების, გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას. მაგალითად საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნებში - გეოგრაფია, ისტორია და საქართველოს ისტორია კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია სავალდებულო თემები, საკითხები, რომელთა დამუშავებასაც აპირებს სკოლა მომდევნო სასწავლო წლისთვის, ასევე, ისტორიაში სამი კომპლექსური დავალების იდეაა განსაზღვრული შემდეგ სასწავლო წელს დასაგეგმად. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა, რომ მოქალაქეობის საგნის ფარგლებში კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვროს თითოეულ სავალდებულო თემაში რომელი საგნობრივი საკითხით რომელი სამიზნე ცნება/ცნებები დამუშავდება. განისაზღვროს შუალედური მიზნები კომპლექსური დავალებების სახით.** ***ინდიკატორი 2.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან;***

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტში, საგნობრივ კურიკულუმებში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს თუ რამდენად არის კორელაციაში საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. საშუალო საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

პროდუქტს, რიგი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, გააზრებული აქვთ ამ ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, მათთან დაკავშირებული საკითხები და კომპლექსური დავალებები, მოსწავლის შეფასების რუბრიკები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

3. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, შედეგების მიღწევის ტაქსონომიისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კუნსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. პერიოდულად ხდება აღნიშნული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც მასში ხორციელდება ცვლილებები, რომელებიც ორიენტირებულია მოსწავლეების წინსვლაზე. ხოლო ინდგეგმის შეფასების ფორმის შევსება მიზნად ისახავს მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული უნარების განვითარებისთვის საჭიროებების დადგენას მოსწავლეთა პროგრესის უზრუნველყოფისთვის. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

4. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კომპლექსურ დავალებებს თან ერთვის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის რუბრიკები, სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი-ჩანაწერების დღიური, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებელს უმარტივებს მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნებებთან მიმართებით, ასევე მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ორგანიზებას. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ***ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;***

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას გაანალიზოს წინარე გამოცდილება და გაითვალისწინოს 2023-2024 სასწალო წლის კურიკულუმის საბოლოო ვერსიაში. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურუკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს. კათედრაზე პედაგოგები განიხილავენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს და აანალიზებენ. მიღებული გამოცდილების რეფლექსიის საფუძველზე იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის ახალი კურუკულუმების გეგმა-ჩარჩოებისა და კურუკულუმების შემუშავება.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს.

ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.
- რესურსი 7- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- რესურსი 8 - განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- რესურსი - 12 - კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემები წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს. ასევე მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების ისეთი იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, ამასთან, პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს, შესაბამისად, აღნიშნული იზრდება მოსწავლეთა დაინტერესება. საშუალო საფეხურის მოსწავლეები ჩართული არიან არაფორმალურ აქტივობებში, საკლუბო მუშაობაში. მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, ღიაობა და მაღალი მიმღებლობა, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და მათ შემოქმედებით პოცესებში ჩართვას. საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

3. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე კონტექსტ და შედარების მაგალითები და რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია და სხვა.
გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცეში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

4. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე და მოსწავლეებს აქვთ გარკვეული პროცედურების გავლით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის შესაძლებლობა. მაგალითად, სკოლას აქვს თანამედროვე მოთხოვნებით აღჭურვილი მრავალფუნქციური საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს თავად ჩაერთოს კვლევით პროცესებში თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში და ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით გამოიტანოს დასკვნები. პედაგოგებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის განხორციელდა პროექტი „მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლები თიანეთში.“ მოძიებული ფოლკლორული, ისტორიულ-გეოგრაფიული მასალის საფუძველზე მოსწავლეებმა შექმნეს ფოტო-ვიდეო მასალა, ბუკლეტები, რეკლამები, რუკები, სტენდები, კედლის გაზეთები(ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე), რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

გამოფენილია სკოლის დერეფნებში, პროექტის ანგარიში წარმოდგენილია მტკიცებულებებში. ***ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;***

5. სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებულია, რაც დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებითა და მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით. პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს სწორედ ამ უნარის განვითარებას. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში გამოკვეთილია მიზანი, რომ საშუალო საფეხურზე მოხდეს საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვას სწორედ მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდენს. სკოლის მასწავლებელთა ინტერვიუერებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია სავალდებულო თემები, რომელთაც შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები - ცნებები და, ასევე, ქვეცნებები კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით, ცნებებთან დაკავშირებულია შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები და რესურსები. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და დეტალურად აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხსა და ქვესაკითხებთან მიმართებით. კურიკულუმის ჩარჩოსა და შეფასების რუბრიკების გაცნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

   ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენის შემდეგ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების (კითხვები მოცემულია კურიკულუმში) პასუხად მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმში წარმოდგენილია ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მოცემული კრიტერიუმებით თვითშეფასება და ჯგუფის მუშაობის შეფასება ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარებას. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ***ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან;***

3. სკოლას სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. სკოლას კომპლექსური დავალების შეფასებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. მაგალითად, წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც ვალიდურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა იაზრებს მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელობას მათი მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

4. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების I მოდელს. საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით და იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რამდენად დაეუფლა იგი საგნობრივი პროგრამებით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რამდენად დაშორდა ან მიუახლოვდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, იგი განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს. განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის სწავლების პროცესში მაქსიმალურად ხელშეწყობა. სსიპ მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს საკუთარი პროგრესი თუ რეგრესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

X-XII კლასებში ნიშნები იწერება 10 ქულიანი სისტემით. საგანში "სპორტი," "საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება" და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.
ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნები – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- საგნის სემესტრული ნიშანი – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ.ქვემოთ);
- საგნის წლიური ნიშანი – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ნიშანში არ აისახება წლიური გამოცდის ნიშანი, რომელიც გათვალისწინებულია საბაზო და საშუალო საფეხურზე.
- საფეხურის საერთო ნიშანი – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;
ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;
გ) შემაჯამებელი დავალება.

სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში მოცემულია ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, შეფასება გაცდენების შემთხვევაში და გამოცდის ტიპები. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებთ, სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- საშემოდგომო გამოცდა;
- სემესტრული გამოცდა;
- ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა;
- წლიური გამოცდა X-XI კლასებში (პედსაბჭოს გადაწყვეტილების შემთხვევაში).

სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი წლიური გამოცდების როლი და მიზანი. წლიური გამოცდები დაგეგმილია შემდეგი სახით:

- X კლასი- ფიზიკა, მოქალაქეობა;
- XI კლასი- ქართული ენა, ბიოლოგია.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ წლიური გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში საგამოცდოდ მოსწავლებს შესთავაზებენ კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს. გამოცდების მიზანია, დადგინდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში და ამის გათვალისწინებით გამოიკვეთოს საგნობრივი კურიკულუმის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. წლიური გამოცდის შედეგები არ აისახება მოსწავლის წლიურ შეფასებაზე.

საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის მუშავდება ისეთი რუბრიკები, რომლებიც სექტემბრამდე პერიოდში ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული. შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობაზე დაკვირვების საშუალება მიეცემა გასაჯაროების შემდეგ. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო.
მაგალითად, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების საფუძველზე და მასწავლებელთა ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ და მოსწავლემ უნდა იცოდეს როგორ და რაში ფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით. სკოლას აქვს მზაობა კათედრაზე გამართოს რეფლექსიური დიალოგი და თემების მიხედვით შექმნას მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე.
ინდიკატორი 2.2.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

7. სკოლისთვის მნიშვნელოვანია გამოყენებული შეფასების სისტემის ანალიზი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. გასაუბრებისას კათედრებმა და დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისთვის გეგმავენ სოლო ტაქსონომიის უფრო აქტიურ გამოყენებას, რომლის მიხედვითაც გაზომავენ მოსწავლეთა მიღწევებს და მისცემენ შესაბამის უკუკავშირს, შემდეგი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კათედრების მიხედვით აქტიურად იმუშაოს შემაჯამებელი დავალებების გაანალიზებაზე მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად, ანალიზის საფუძველზე დაიგეგმება ხარვეზების გამოსწორების გზები. თუმცა ამ ეტაპისთვის ***სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნებოდა გაწერილი თუ როგორ გეგმავდნენ შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას.*** ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმი მუშაობდა, თუმცა დოკუმენტირებული არ იყო.
სკოლამ ვიზიტის შემდგომ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებები, რომ შემუშავებულია სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N1/-კ 25-19.08.2023წ. განისაზღვრა, რომ სკოლაში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს საშუალო საფეხურზე შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსტიტენტური). საშუალო საფეხურზე სკოლა განსაკუთრებულ ფოკუსს აკეთებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების მეთოდებზე და ინსტრუმენტებზე.

ინდიკატორი 2.2.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

5. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. ჟურნალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი.

რჩევა: სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.2.2.6. შესაბამისობაშია სტანდარტთან;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის დანართები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმები,
- სასკოლო აქტივობებისა და ღონისძიებების პორტფოლიოები;
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი დამტკიც. სკოლის დირექტორის ბრძანებით N1/-კ 25-19.08.2023წ.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმი შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, სკოლის კურიკულუმის შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას სასწავლო პროცესში, არაფორმალური აქტივობები, სასკოლო კლუბების ფუნქციონირება განაპირობებს სკოლაში მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ჩამოყალიბებას. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშორმლობით, შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე. **ინდიკატორი 2.2.3.1.აკმაყოფილებს სტანდარტით** დადგენილ მოთხოვნებს.

2. სწავლების საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. გასაუბრებისას საშუალო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გამოსავლენად. სკოლაში საშუალო საფეხურზე ხშირად ტარდება სხვადასხვა პროექტი, ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, რომლებიც ასევე უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი 2.2.3.2.აკმაყოფილებს სტანდარტით** დადგენილ **მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სწავლების საშუალო საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები. დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი,განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით, სასკოლო პროექტებით, საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. პედაგოგებმა და ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თანამშრომლობა, გუნდურობა, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. **ინდიკატორი 2.2.3.3.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, კურიკულუმის დაგეგმვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც დადებით გავლენას მოახდენს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატზე ყველა დონეზე. **ინდიკატორი 2.2.3.4.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **კურიკულუმის დანართები;**
- **სასკოლო პროექტის პორტფოლიო;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**
- **სკოლის ბლოგი https://tianeti1.blogspot.com/p/blog-page.html**

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სკოლა კურიკულუმის რეალიზაციის პროცესში გეგმავს შეამოწმოს:

- რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში **(მონიტორინგი);**
- რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი **(შეფასება).**

წარმოდგენილი დოკუმენტი სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში სკოლას მისცემს საფუძველს შეადაროს რეალურად მიმდინარე საქმიანობა დაგეგმილი პროცესებს.

რჩევა: სასურველია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები;

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- კათედრების მუშაობა
- დირექცია /ადმინისტრაციის მუშაობა სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მიმართულებით;
- მშობელთა/მოსწავლეთა ჩართულობა;

შესაბამისად, მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. **ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტთან**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია.

კურიკულუმის შემუშავების პროცესი ცილკურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.

კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;**
- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით (კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლამ გამოიყენოს მრავალფეროვან მეთოდები. **ინდიკატორი 2.3.2.1.შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი,ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განხორციელებაც დაგეგმილია კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; **ინდიკატორი 2.3.2.2.შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაციას და კათედრებს დაგეგმილი აქვთ ინფორმაციის მოპოვება შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის გამოყენების გზით. **ინდიკატორი 2.3.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები.
- ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამებ

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ანალიზის საფუძველზე სკოლამ გეგმავს შექმნას რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტი სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. **ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტთან**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დუკუმენრის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება რამდენიმე მიმართულებით (მოსწავლეთა შედეგები, მოსწავლეთა/მშობელთა ჩართულობა, კათედრის და დირექციის მუშაობა. თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. ინტერვიუირებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე. **ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

- **2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;**
- **ინტერვიუ კათედრების ხელმძღვანელებთან;**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან;**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.**

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

07.11.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ხელმოწერები:

თავმჯდომარე: ნანა ედიშერაშვილი _____

წევრები:

ავთანდილ კეჭაყმაძე _____

ლელა გორდულაძე _____

ირმა ბოლქვაძე _____

ვალერიან ვოლჩანსკი _____

ლამზირა აფაქიძე _____

ჟანა ბელქანია _____

სოფიო ხვადაგიანი _____

ნონა გორგილაძე _____

საბა დარსაველიძე _____

ნათია კოხოძე _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____